S
30

ეროვნული
ბიბლიოთეკა

645

საქართველოს ქალი

იანვარი
№ 1 1980 წ

ISSN 0321-1509

63

გილოცავთ დიდ გამარჯვებას

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს,

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებს, მეცნიერებსა და სპეციალისტებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს

ძვირფასო ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში დიდი კმაყოფილებით შევიტყვეთ, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილისა და ციტრუსის პოსტნეულისა და ბაღჩეულის, კარტოფილის მიყიდვის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი.

მიმდინარე წლის ამინდის რთულ პირობებში რესპუბლიკის მიწათმოქმედებმა ჩაის ფოთლისა და ციტრუსის რეკორდული მოსავალი მოიწიეს. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ ძირითადი პროდუქტების შესყიდვის მიხედვით არათუ მთლიანად შესრულდა წლიური გეგმა არამედ გადაჭარბებითაც არის განაღდებული ხუთწლედის ოთხი წლის დავალება. ამით რესპუბლიკის მშრომელებმა დიდი წვლილი შეძატეს ქვეყნის სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების ამოცანის გადაწყვეტას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გულითადად ულოცავს მიღწეულ წარმატებებს საქართველოს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, მეურნეობათა ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს, სასოფლო-სამეურნეო, დამამზადებელი და სატრანსპორტო ორგანიზაციების, სამრეწველო საწარმოებისა და სასწავლებლების კოლექტივებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს.

გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის მშრომელები კვლავაც ჩინებულ შედეგებს მიაღწევენ ჩაის, ციტრუსის, ყურძნის წარმოებაში და საერთო-საკავშირო შრომის დანაწილებაში აამაღლებენ საქართველოს სს რესპუბლიკის როგორც სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების მწარმოებლის როლს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელებს უსურვებს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნონ ხუთწლედის დამამთავრებელი წელი.

ლ. ბრეჟნევი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიდი ლენინელის შესახებ

ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის

ახალი ოცნებებითა და იმედებით დატვირთული შემოვიდა და დამკვიდრდა ჩვენს ცხოვრებაში ახალი 1980 წელი. მას დიდი მოვალეობაც გააჩნია — ქვეყნის დოვლათისა და ძლიერების, ხალხის კეთილდღეობის ზრდა — ამაღლების მეათე ხუთწლიანი გეგმის გამარჯვებებით დაგვირგვინება. მაგრამ ამ ახალ წელს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მეცნიერული ახროვნების ბუმბერაზის, სოციალისტური რევოლუციის უდიდესი თეორეტიკოსისა და ბელადის, მუშათა და გლეხთა პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში აღინიშნება, როგორც დიდი საყოველთაო — სახალხო დღესასწაული და არა მარტო ჩვენს ქვეყანაში — ვ. ი. ლენინის დაბადების დღეს იზეიმებს მთელი მშრომელი კაცობრიობა, რომლის სამომავლო პრძოლა, ბრძოლა მშვიდობისა, სამართლიანობისა, ბედნიერებისა და პროგრესისათვის, მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის სახელთან არის დაკავშირებული.

გაივლის კიდევ წლები, საუკუნეები და კიდევ და კიდევ მრავალჯერ აღინიშნება მსოფლიოში ვ. ი. ლენინის დაბადების დღესასწაული, რადგან მისი სახელი იცოცხლებს მილიონობით ადამიანთა გულებში, როგორც სიმბოლო კაცობრიობის ცხოვრების ახალი ერის დასაწყისისა.

დიდი საყოველთაო ენთუზიაზმით შეუდგა ჩვენი ხალხი წლევანდელ სადღეობო სამზადისს. მშრომელი-მშრომელს შეჯიბრებია, უბანი-უბანს. რადგან არ არის ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი დარგი ჩვენი სახალხო მეურნეობის თუ კულტურისა, რომლის განვითარება ვლადიმერ ილიას ძეს არ გაეთვალისწინებინოს თავის დიდებულ ნაშრომებში, ხოლო არაფერი განადიდებს ადამიანის სახელს ისე, როგორც ბორცშესხმა მისი ნაოცნებარისა, უკვდავყოფა მისი ნაანდერძევის.

აგერ, ექვს ათეულ წელზე მეტია, რაც ჩვენი ხალხი გულმხურვალედ ასრულებს ამ ნაანდერძეკს და ხუთწლედების საფეხურებით მიილტვის მაღლა, მაღლა, კომუნიზმის საოცნებო მწვერვალებისაკენ და ამ სრბოლვაში ამაღლდა და მაღლდება ხალხის მატერიალური და სულიერი ცხოვრების დონე, ძირფესვიანად შეიცვალა ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებანი, შეიცვალა საზომი ადამიანის ადგილის, როლის და დანიშნულებისა ცხოვრებაში და ეს სახეცვლილებანი განსაკუთრებით ქალმა განიცადა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინი ქვეყნად სამართლიანი წყობილების დამყარების ერთერთ აუცილებელ პირობად მიიჩნევდა ქალის განთავისუფლებას საუკუნეობრივი მონობიდან. ცნობილია ისიც, რომ ლენინს ასევე შეუძლებლად მიაჩნდა რევოლუციის გამარჯვება და სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობა ქალთა ფართო მასების მონაწილეობის გარეშე.

რევოლუციიდან განელილმა წლებმა ამ საკითხშიც დაადასტურა დიდი ბელადის უტყუარი ალღო და მიზანსწრაფვის სისწორე.

განთავისუფლებული ქალი დღეს საბჭოთა საზოგადოებრიობის დიდი ძალაა და თამამად შეუძლია თქვას, რომ ჩვენი ხალხის შრომით გამარჯვებებში მასაც ღირსეული წვლილი მიუძღვის.

საქართველოს მშრომელების ერთერთი ასეთი გამარჯვებაც, მეათე ხუთწლედის ოთხი წლის დავალების წარმატებით შესრულება, — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის გულითადი მოლოცვით რომ აღინიშნა, ჩვენი ქალების გულმხურვალე შრომითაც არის მოპოვებული.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი თავის ვრცელ დადგენილებაში, რომელიც ეძღვნება ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეულად აღნიშვნას, მოგვიწოდებს შევხვდეთ ამ დიდ დღესასწაულს, კომუნიზმისათვის ბრძოლის ახალი წარმატებებით, გადავაქციოთ მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი დამკვრელური ლენინური მუშაობის წლად.

საქართველოს ქალები თავის ძალასა და ენერგიას არ დაიშურებენ, რათა კუთვნილი მონაწილეობა მიიღონ ამ საერთო სახალხო დღესასწაულში და ამით კიდევ ერთხელ უთხრან მადლობა და დაუდასტურონ თავიანთი ღრმა პატივისცემა მსოფლიოს ხალხთა ბედნიერებისათვის დაუცხრომელ მებრძოლს, ჩვენი საუკუნის უდიდეს ადამიანს მარად უკვდავ ვ. ი. ლენინს.

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ქ. მარქსის სახ. სახ. ბიბ. ლენინგრადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი წელი, ახალი ამოცანები

ახალი წელი მოვიდა თავისი სიხარულით, დაპირებებით, მოთხოვნებით. ყოველ ახალ წელს ადამიანები ხვდებიან პირნათლად, აბარებენ წინა წლის ანგარიშს, სახავენ მომავლის გეგმებს, მათი შესრულების გზებს.

თავის მხრივ ახალი წელიც ითხოვს ჩვენგან ვიყოთ გულწრფელი, არ დავფაროთ გამარჯვება თუ მარცხი, ვეძებოთ ახალი ძალა ჩვენში იმ დიდი საქმეების განსახორციელებლად, რაც გვევალება.

და დაიწყო ბრძოლა ამ საქმეების ხორცშესასხმელად. მეათე ხუთწლედის ახალი, დამაგვირგვინებელი წელი მობრძანდა, რომელიც საძირკველს ამზადებს სკკპ 26-ე ყრილობისათვის.

განვვლეთ ოთხი წელიწადი, სკკპ 25-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად დაძაბული შრომისა და შემოქმედების წლები. ეს იყო პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის სწორი ლენინური კურსის, ქვეყნის ეკონომიკური და სულიერი სიმდიდრის ზრდის, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის ამაღლების, მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის წლები.

ეს ნათლად დაადასტურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა და სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ, სადაც განიხილეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიჯეტის პროექტები, მიიღეს შესაბამისი დადგენილებანი და კანონები.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში, რომელიც მან პლენუმზე წარმოთქვა, მოცემულია ჩვენი ეკონომიკის, ხუთწლედის ოთხი წლის შედეგებისა და დამამთავრებელი წლის გეგმების ღრმა, ყოველმხრივი ანალიზი, მოცემულია როგორც უახლესი, ისე პერსპექტიული ამოცანები, გამოვლენილია ნაკლოვანებანი, დასახულია მათი აღმოფხვრის გზები, პარტიისა და ხალხის მიერ გადასაწყვეტი ამოცანები.

— „წარმატებანი აშკარაა, თანაც ენიშვნელოვანი, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — და ეს წარმატებანი ჩვენ კარგ საფუძვლად მიგვაჩნია 1980 წლის საბალანსო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტისათვის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის გზით მტკიცე წინსვლისათვის".

პარტიის გეგმები ყოველთვის არის მშრომელთა ინტერესების გამომხატველი. ლენინური პარტიის გეგმებში პოულობენ საბჭოთა ადამიანები ძალასა და ენერგიას ახალი შრომითი მწვერვალების დასაპყრობად. ამ დღეებში მთელი ჩვენი ქვეყანა იშვიათი მოვლენებით სავსე დღეებით ცხოვრობს. დაიწყო მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის შემოქმედებითი შრომა. სწორედ ამ ხუთწლედის დამაგვირგვინებელი წლის მიჯნები განიხილა და მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმმა, საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთორმეტე სესიამ კი დაამტკიცა იგი.

როგორც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე ითქვა, რესპუბლიკის მშრომელებმა ხუთწლედის განვლილ ოთხ წელიწადში მიაღწიეს წარმატებებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში. წარმატებით ხორციელდება საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური პროგრამა. მაგრამ გაცილებით მეტი უნდა გაკეთდეს ახალ წელს მეათე ხუთწლედის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, მეთერთმეტე ხუთწლედისათვის მტკიცე ბაზის შესაქმნელად. — რესპუბლიკის საწარმოებსა და მეურნეობებში კი ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვია, რომლებიც უნდა მოვიყვანოთ მოქმედებაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის მონაწილეებმა დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე მდგარი ამოცანების გადასაჭრელად.

„— ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXVI ყრილობას, აღვნიშნოთ იგი ახალი შრომითი მიღწევებით, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ახალი შესანიშნავი გამარჯვებებით, ეს მარტო იმას როდი ნიშნავს, რომ მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ ხუთწლიანი გეგმის დავალებანი, თითოეულმა კოლექტივმა, ყოველმა კომუნისტმა, ყველა მოქალაქემ ყრილობას ღირსეული საჩუქარი უნდა მოუმზადოს", — თქვა პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ.

და დაიწყო საოცარი შრომითი აღმავლობა როგორც მთელ ქვეყანაში, ასევე საქართველოში. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების პატრიოტულ ფიოლნობას დევიზით: გადავაქციოთ 1980 წელი დამკვრელური მუშაობის, ლენინური მუშაობის წლად, პირადი გეგმები და ვალდებულებები — 1980 წლის 22 აპრილისათვის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაეცით გულითადი სალამი ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისაგან, თქვენს შვილებსა და შვილიშვილებს.

სამ სიტყვას ვამბობ: მშვიდობა, ლენინი, ბავშვები.

ამ სიტყვებშია კონცენტრირებული დღევანდელობის შინაარსი.

თქვენ ნახეთ პატარა გოგონა, ნაპალმის ბომბით რომ იყო ცეცხლად ანთებული?

მშვიდობა ნიშნავს სიცოცხლესა და არა ნაპალმს, არა სიკვდილს.

მშვიდობა ნიშნავს, რომ პატარა სხეული აღარასოდეს აინთება ნაპალმის ცეცხლზე, ტყვიების შუქზე...

გინახავთ მუცელდასიებული ბავშვები? — სიმაძღრით კი არა, შიმშილით მუცელდასიებულები? მშვიდობა ნიშნავს, რომ აღარ გვეყოლება მშიერი ბავშვები.

ამბობენ, რომ ბავშვები საბჭოთა კავშირის პრივილეგირებული კლასია. ეს იმიტომ, რომ ბავშვები განაგებენ თქვენს ქვეყანას — სოციალიზმის ქვეყანას, ლენინის ქვეყანას.

სიტყვა ლენინი განუყოფელია მშვიდობისა და ბავშვებისაგან. იგი საბჭოთა კავშირში მცხოვრები ბავშვების ღიმილია.

როცა ლ. ი. ბრეჟნევი ლაპარაკობდა ბავშვებზე, მან სამი სიტყვა თქვა: ბავშვები ჩვენი სიყვარულია, ბავშვები ჩვენი იმედია, ბავშვები ჩვენი მომავალია.

სიყვარული, იმედი, მომავალი!

მილიონობით ბავშვს სჭირდება სიყვარული, ამისთვის კი აუცილებელია მშვიდობა.

რას ნიშნავს, ბავშვები ჩვენი იმედია, მომავალია? — იმას, რომ ბავშვი არ წვებოდეს მშიერი, რომ ბავშვს არ ეშინოდეს ახვდოს ზეცას, საიდანაც ცვივა ხოლმე უბედურება და სიკვდილი; რომ ბავშვს არ ეშინოდეს დახედოს თეფშს, ჩაიხედოს ქვაბში, ფინჯანში, სადაც ცოტაოდენი რამ მაინც უნდა კეულებოდეს: ერთი ჭიქა რძე, ერთი მუჭა ბრინჯი, ერთი მუჭა ხორბალი, ან ერთი ჭიქა სუფთა წყალი მაინც...

ჩვენ, მსოფლიოს მილიონობით ადამიანი ვიბრძვით დევიზით: სოციალიზმი, ლენინი! ვიბრძვით და გვჯერა რომ გაიმარჯვებთ. და მაშინ მსოფლიოს ყველა ბავშვს ექნება მაღალი, კრიალა ზეცა, მზე და ბედნიერების ნაწილი მაინც...

გადაეცით თქვენს ბავშვებს, რომ ჩვენ მათს ღიმილს მოვფენთ მთელ ქვეყანას, რადგან ეს ღიმილი — იმედის ღიმილია, ბედნიერების ღიმილი.

გიყვარდეთ და დაიცავით თქვენი სამშობლო, ლენინის საქმე. იყავით ბედნიერნი!

რომეშ ჩანდრა,
მშვიდობის საერთაშორისო საბჭოს პრეზიდენტი.
მოსკოვი. 1979 წელი 8 სექტემბერი.

მოხარული ვარ, რომ საშუალება მომეცა, თქვენი ჟურნალის მეშვეობით მივმართო საქართველოს ქალებს.

ქალს არ თვლიდნენ პიროვნებად. ის იყო ნივთი, რომელსაც უყურებდნენ ცინიზმით და ანგარებით. ქალის როლი საზოგადოებაში მხოლოდ ოჯახით შემოიფარგლებოდა.

დღეს, გარდა იმისა, რომ ქალი შობს და ზრდის შვილებს, იგი ფართოდ მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ ქალმა პოლიტიკაშიც უნდა შეიტანოს ის ადამიანური, რაც აკლია პოლიტიკას — თავისი გულის სითბოთი, ემოციურობით, ინტუიციით, ტაქტით გააგებინოს კაცობრიობას, რომ ყოველი იარაღის მიღმა დგას ადამიანი, თვითმფრინავის მიღმა კი ორსამი სიცოცხლე მაინც— ისინი, ვისაც მიჰყავს თვითმფრინავი. ქალი შობს და ზრდის ადამიანებს. ქალმა უნდა დაიცვას სიცოცხლე. ქალის მონაწილეობის გარეშე არ იქნება მშვიდობა.

კანონიკი რაიმონ გოლრი,
ევროპის ქვეყნების უშიშროებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეე ვარ ეპოქა ოთხმოციანი

ნაზი კილასონია

ვინ არის მანდა?
გამიხსენთ კარი!
მომაპყართ მადლით
პირველი ქნარი.
ვინ არის მანდა?
ახსენით კარი!
ვარ ატყორცნილი
მთვარეულ ფაზით,
შუბლდაკოცნილი
მართალი აზრით.
პირით მზიანი,
მკერდით — რძიანი,
დიდი საწყისის
თანაზიარი;
მომეცით სამწყსოდ
ვარსკვლავთ ციალით —
ოთხმოციანი!
ოთხმოციანი!...
აგერ ეს მიჯნა
და რუბიკონი,
მიღელავს მაჯა
წრფელი სტრიქონით.
გადამიკონეთ
მკერდზე ვაზები —
მარად ახალი
ახალგაზრდებით,
მზისდარ ციალა
თურინჯ-ნარინჯებს
ტყუპისცალებად
მკერდში ჩავიჯენ.
და ვით ყვავილში —
სასანთელოში
გულებს აგივსებთ
საქართველოში;
მაგ თქვენს მწვერვალთა
მწადის შემოვლა
შესაწევარად
თქვენში შემოვალ:
მთებს დაგისახლებთ
გლეხიკაცებით:
ღვთისო-ისახარ,
ვეფხო-მაცნებით.
ბარს გივარგისებთ
ყანის ტალღებით,
კალთას აგივსებთ
ტიტველ ბალღებით.
და მაგ არწივებს
ჯერეთ რძიანებს
შუბლზე დავაწერ
ოთხმოციანელსთ!
სულ გამარჯვება,
სულ აღტაცება,
შრომის მარჯვენა
და გატაცება!
სიბრძნეს, სიუხვეს,
მრავალშვილობას,
სჭექეთ, მოუხმეთ
მხარგაშლილობად!
გშვენის, გვემკობა
კვალი მზიანი,
ჩვენ ვართ ეპოქა
ოთხმოციანი!
დე, ვიდღეგრძელოთ,
ვიპირმზიანოთ,
ერთად ვიაროთ
აწ და ამიერ,
აბა, შვილებო,
ოთხმოციანნო,
ვჭექოთ მარადი
მრავალჟამიერ!

ჩვენი სოფლის ლიანდი ჰკოგრაკეე

„საქართველოს ქალის“ ინტერვიუ

ჩვენი სოფლის აყვავების გრანდიოზული პროგრამა

გვესაუბრება რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ანდრო კიკნაველიძე.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ინიციატივით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. როგორც საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე აღინიშნა, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ახალ დადგენილებას განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება იმ გადაწყვეტილებებს შორის, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ საქართველოს რესპუბლიკის შესახებ მიიღეს. იგი საეტაპო მნიშვნელობისაა, რადგან რესპუბლიკის აგრარული მშენებლობის პრობლემებს კომპლექსურად, ყოველმხრივ განიხილავს და ამავე დროს მოწმობს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიუროო, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი ჭეშმარიტად ლენინურ ზრუნვას იჩენენ საბჭოთა საქართველოსათვის.

„საქართველოს სს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების მნიშვნელობაზე „საქართველოს ქალის“ კორესპონდენ-

ტის შეკითხვებს პასუხი გაუცა რესპუბლიკის საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ა. **კიკნაველიძემ.**

— როგორია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენცია უკანასკნელ წლებში?

— პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღების შემდეგ არსებითი ცვლილებები მოხდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის რაოდენობრივ და თვისებრივ მაჩვენებლებში. თუ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპი სერიოზულად ჩამორჩებოდა საშუალო საკავშიროს, უკანასკნელი 6 წლის მანძილზე მან რესპუბლიკაში შეადგინა 51 პროცენტი, ხოლო კავშირში — 22 პროცენტი. 1970-1978 წლებში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება გაიზარდა 1,5-ჯერ. ამ პერიოდში ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოება გაიზარდა 1,7-ჯერ, ციტრუსებისა — 1,5-ჯერ, ყურძნის სახელმწიფო შესყიდვა — 1,5-ჯერ, ხილისა — 1,9-ჯერ, ბოსტნეულისა — 1,8-ჯერ, კარტოფილისა 2,2-ჯერ, რძისა — 1,5-ჯერ, ხორცისა — 1,9-ჯერ, კვერცხისა — 2,5-ჯერ, შრომის ნაყოფიერება გადიდდა 49,3 პროცენტით. წინსვლის კიდევ ერთი დამახასიათებელი მაგალითი: მარტო სახელმწიფოსათვის მიყიდული ჩაის, ყურძნის, ხილის, ხორცისა და რძის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების შედეგად დამატებით მიღებულია 463 მილიონი მანეთი შემოსავალი.

— როგორია დადგენილების მაგისტრალური მიმართულება?

— მიუხედავად ამ შთამბეჭდავი წინსვლისა, საქართველოს აგრარული განვითარების ბევრი მაჩვენებელი ჯერ კიდევ ჩამორჩება საშუალო საკავშირო მონაცემებს. დადგენილებაში დასახულია ამ ჩამორჩენის დაძლევის გზები, გამოვლენილია შემდგომი ზრდის გამოუყენებელი რეზერვები. ეს გახლავთ არა მარტო საქართველოს სოფლის მეურნეობის, არამედ შეიძლება ითქვას ქართული სოფლის წინსვლის გრანდიოზული პროგრამა მომდევნო მეთერთმეტე და მეთორმეტე ხუთწლედებისათვის. მისი განხორციელების ღონისძიებანი დაგვისახა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ.

— დადგენილების შესრულებისათვის ბრძოლაში პირველი სიტყვა, ალბათ, მეჩაიეებს ეკუთვნით.

— დიახ, ასეა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა მაღალი შეფასება მისცა საქართველოს მეჩაიეთა წარმატებებს. მეჩაიეები სამართლიანად ითვლებიან საქართველოს სოფლის მეურნეობის ფლაგმანად; გმირული შრომით, შთამბეჭდავი წარმატებებით აღაფრთოვანებენ რესპუბლიკის მეციტრუსეებსა და მხვნელ-მთესველებს, მეზვრეებსა და მეცხოველეებს, მეხილეებსა და მეკარტოფილეებს. დადგენილება ითვალისწინებს რომ 1985 წლისათვის ჩაის ფოთლის წარმოება 500 ათას ტონამდე გაიზარდოს, 1990 წლისათვის კი 700 ათას ტონამდე. მომავალ ხუთწლედში გაშენდება 11 ათასი ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაცია, განხორციელდება ჰექტარობრივი მოსავლიანობის მკვეთრი გადიდების ღონისძიებათა კომპლექსი, ფართოდ დაინერგება კომპლექსური მექანიზაცია. ხუთი წლის მანძილზე 2,5 ათას ჰექტარზე გაშენდება „კოლხეთის“ ჯიშის ჩაი, რომლის მოსავლიანობა ერთიორად აღემატება ახლანდელი ჯიშებისას.

— რას გვეტყვით დანარჩენი სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდების შესახებ?

— მეჩაიეებს, უპირველეს ყოვლისა, მეციტრუსეებმა უნდა გაუსწორონ მხარი. მეციტრუსეები მეჩაიეებს არასოდეს ჩამორჩებოდნენ და, ვფიქრობთ, ამჯერადაც ასე იქნება. 1985 წლისათვის ნარინჯოვანთა ნაყოფის წარმოებამ 350 ათას ტონას უნდა მიაღწიოს, 1990 წლისათვის — 500 ათას ტონას, ხოლო ლიმონის წარმოება შესაბამისად 12 ათასიდან 100 ათას ტონამდე გაიზრდება. ამ ამოცანის გადასაწყვეტად მეთერთმეტე ხუთწლედში ციტრუსოვანთა პლანტაციები 11 ათას ჰექტარზე გაშენდება, მათ შორის ლიმონი — 2.300 ჰექტარზე, გაშენდება ლიმონარიუმები, პარალელურად გაიზრდება ჰექტარობრივი მოსავლიანობა.

— როგორია მევენახეობისა და მეხილეობის განვითარების პერსპექტივები?

— მოგეხსენებათ, საქართველო ოდითგანვე კლასიკური მევენახეობისა და მეხილეობის ქვეყანაა. ბუნებრივია, ამ დარგებსაც განვითარების დიდი პერსპექტივები აქვს. ამჯერადაც ციფრების ენით ვილაპარაკოთ. 1990 წელს წარმოებულ უნდა იქნეს 1.500 ათასი ტონა ყურძენი და 1.200 ათასი ტონა ხილი. აქვე დავძენ, რომ 1985 წლისათვის საერთო-საკავშირო ფონდში მიწოდების მოცულობა გაიზრდება: ხილისა — 135, ციტრუსებისა — 150, საადრეო კარტოფილისა — 60, ბოსტნეულისა — 70 ათას ტონამდე. მომავალ ხუთწლედში ახალი ვენახები 30 ათას ჰექტარზე გაშენდება, ხეხილის ბაღები — 21 ათას ჰექტარზე.

1990 წლისათვის კარტოფილის წარმოება 600 ათას ტონამდე გაიზრდება, ბოსტნეულისა 900 ათას ტონამდე.

— დადგენილება მარტოოდენ სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოებას არ ითვალისწინებს, რას გვეტყვით, კერძოდ, მეცხოველეობის დარგის განვითარების პერსპექტივებზე?

— საქართველოში მეცხოველეობის დარგის მძლავრ განვითარებას საფუძველი დაუდო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმმა. პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების შედეგად რესპუბლიკის მეცხოველეობა მტკიცედ დაადგა დინამიკური განვითარების გზას, შეიქმნა წანამძღვრები დარგის მძლავრი განვითარებისათვის, რათა მეთერთმეტე ხუთწლედში წარმოოთ 270 ათასი ტონა ხორცი (ცოცხალი წონა), 750 ათასი ტონა რძე, მილიარდი ცალი კვერცხი, ხოლო 1990 წლის დამლევისათვის ხორცის წარმოების მოცულობა გაიზრდება 340 ათას ტონამდე, რძისა — 900 ათას ტონამდე, კვერცხისა — 1,2 მილიარდ ცალამდე. გამოდის, რომ 1978 წელთან შედარებით ხორცის წარმოება 1,6-ჯერ უნდა გაიზარდოს, რძისა — 1,4-ჯერ, კვერცხისა 1,9-ჯერ. ცხადია, ამ ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საკვები ბაზის განმტკიცებას, მეცხოველეობის კომპლექსებისა და მეფრინველეობის ფაბრიკების მშენებლობას და საერთოდ, დარგის ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანას. გათვალისწინებულია 13 ათასი სული პირუტყვისათვის განკუთვნილი საქონლის ხორცის საწარმოთა და 18 ათასი ძროხისათვის ნავარაუდევი სარძეო კომპლექსების, აგრეთვე 15 ათასი სული უშობლისათვის განკუთვნილი მეურნეობების მშენებლობა. რესპუბლიკის კომბინირებული საკვების საწარმოთა სადღეღამისო მწარმოებლობა 5.230 ტონამდე გაიზრდება, ხოლო წლიური წარმოება 1,5 მილიონ ტონას მიაღწევს.

— რას გვეტყვით საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ესოდენ გრანდიოზული პროგრამის შესრულების მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფაზე?

— დადგენილების განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ ის არის, რომ მისი წარმატებით შესრულება უზრუნველყოფილია საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით. აიგება სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამმუშავებელი საწარმოები, განხორციელდება მიწის მელიორაციის სამუშაოები, სოფლის მეურნეობა აღიჭურვება მძლავრი ტექნიკით, წარმოებაში ფართოდ დაინერგება მეცნიერების მიღწევები, სოფლად განხორციელდება ფართო მასშტაბის სამშენებლო სამუშაოები.

დადგენილება ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია საბჭოთა საქართველოსათვის. მისი მნიშვნელობა ციფრებით ასეთნაირად შეიძლება გამოიხატოს: თუ 1978 წელს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულებამ 2 მილიარდ მანეთს გადააჭარბა, 1985 წლისათვის სამ მილიარდ მანეთს, ხოლო 1990 წლისათვის სამ მილიარდ 731 მილიონ მანეთს მიაღწევს. ერთი დამახასიათებელი ფაქტიც: სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ერთი საშუალო წლიური მუშაკის შრომის საშუალო ანაზღაურება 1990 წლისათვის დაახლოებით 35 პროცენტით მოიმატებს.

წინსვლის ნაბიჯები, მართლაც რომ, გრანდიოზულია. იგი ერთხელ კიდევ მოწმობს საბჭოთა საქართველოსათვის პარტიისა და მთავრობის, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დაუცხრომელ მზრუნველობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მქსოველი მზია ქირქასიშვილი

ხალიჩა ქართული ორნამენტით

დუშეთში მას იცნობენ, როგორც ქართული ხალიჩის ქსოვის ხელმარჯვე ოსტატს, ახალგაზრდობის დამრიგებელს, კარგ მოქალაქესა და დედას.

ასე რომ გაგიცნონ, დროა საჭირო, და კიდევ საქმე, რომელმაც უნდა გამოგაჩინოს... მზია ქირქასიშვილმა დროის გამოცდასაც გაუძლო და საქმემაც გამოაჩინა.

თვალი რომ გავადევნოთ მის ბიოგრაფიას, უჩვეულო თითქოს არაფერია... დაიბადა დუშეთის რაიონის სოფელ ებნისში, მამა არ ახსოვს. დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო მამამ სხვა თანასოფლელებთან ერთად ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვა და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა.

ერთხანს სამკუთხა ბარათებს იმედი და სიხარული შემოჰქონდა ქირქასიშვილების ოჯახში, მერე ისინიც შეწყდა და შინმოუსვლელის კერია სევდანარევი სიხარულით შეხვდა გამარჯვების დღეს.

დედა შრომობდა, გოგონები სწავლობდნენ. უჭირდა ოჯახს. ვინ იცის, რამდენი თეთრად გათენებული ღამის ფასად გადაწყვიტა მზიამ მიეტოვებინა სკოლა, ტოლები და შეშველებოდა დედას.

გადიოდა წლები. აუსრულებელი რჩებოდა ბევრი ლამაზი ოცნება... მერე დაოჯახდა, გაჩნდა დიდი საზრუნავი — შვილები.

მზიამ დუშეთის საკონსერვო ქარხანაში დაიწყო მუშაობა. მუყაითი და შრომისმოყვარე მუშის სახელი მოიპოვა. მაგრამ გული სხვაგან მიუწევდა, მისი ფიქრი ხალიჩების საამქროს დასტრიალებდა, სადაც თავისუფალ დროს ხშირად შეივლიდა ხოლმე და თვალმოუშორებლად უყურებდა მთიელი გოგონები რა სიყვარულითა და რუდუნებით ქსოვდნენ ქართულ ხალიჩებს. ეს მისთვის უცხო სამყარო იყო, ლამაზი და შეუცნობელი სამყარო, და დიდი სურვილი — თვითონაც გამხდარიყო ამ სამყაროს ბატონ-პატრონი — ერთ დღეს გადაწყვეტილებად აქცია. საამქროს კარი მორიდებით შეაღო და სამუშაო ითხოვა. გულთბილად მიიღო კოლექტივმა ახალი წევრი.

არასოდეს დაავიწყდება მზიას ის დღე, თავის მასწავლებელთან ეთერ ჭიაბრიშვილთან ერთად საქსოვ დაზგას რომ მიუჯდა და თითების გაუწაფავი მოძრაობით ქართული ხალიჩის პირველი კვანძები გამოიყვანა. ერთხანს უჭირდა, უიმედობამაც შეიპყრო—ვაი თუ ასე სწრაფად და მოქნილად ვერასოდეს ვიმუშაოო, მაგრამ შეუძახეს — დაზგისა და საქმის სირთულემ გული არ გაგიტეხოსო და როცა გამხნევებულმა მეასე, მეათასე კვანძი უფრო ადვილად გააკეთა, გახალისდა. ამას მოჰყვა პირველი აღტაცება ხალიჩაზე დამოუკიდებლად გამოყვანილი პირველი ქართული ორნამენტის გამო და ახლა რომ ჰკითხოთ — რა უფრო დაამახსოვრდა მას თავისი მუშაობის მანძილზე, ამ აღტაცებით იხსენებს პირველ გაუბედავ ნაბიჯებს და მერე ძუნწად დააყოლებს — ეს არის, ამის შემდეგ ვმუშაობ, ისეთი არაფერი გამიკეთებიაო.

მას შემდეგ ჩვიდმეტი წელი გავიდა და არც ისე ცოტა აქვს გაკეთებული. ამ ხნის მანძილზე მზიას ანგარიშზე 130-მდე ქართული ხალიჩაა. ყოველდღიურ გეგმას ხომ ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს 8-9 ათასი კვანძი 7 ათასის ნაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლად — ასეთია სამუშაო დღის ბოლოს მზიას მაჩვენებელი. ყოველთვის თავდავიწყებით და დიდი სიყვარულით მუშაობს, საქმის ღალატი არ სჩვევია, სამაგიეროსაც უხვად იმკის. 1974 წელს, როგორც მოწინავე მუშა, სკკპ წევრად მიიღეს, შემდეგ რაიონული საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. თვითკმაყოფილება არასოდეს უგრძვნია, უფრო მეტს და კარგად აკეთებდა. გაერთიანება „სოლანმა“ საპატიო სიგელით დააჯილდოვა საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა და გაერთიანების საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის. 1977 წელს სამკერდე ნიშანი გადასცეს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

მზიას ჯილდოებს შორის არის ერთი, რომელიც მას კომკავშირის დუშეთის რაიკომმა გადასცა ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის. მზია ამაყობს ამ ჯილდოთი. როგორც ოსტატმა და ახალგაზრდობის დამრიგებელმა, ვინ მოთვლის რამდენი ახალგაზრდა აზიარა ქართული ხალიჩების ქსოვის საიდუმლოებას. ერთი მათგანია მისი ქალიშვილი მანანა, რომელიც აქ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდა. დედასავით კეთილი და შრომისმოყვარე ქალიშვილი მალე შეიყვარეს, შემდეგ ნდობა გამოუცხადეს და საამქროს კომკავშირელთა ხელმძღვანელობა მიანდვეს. აქ მისცეს რეკომენდაცია პარტიის რიგებში შესასვლელად, აქ აირჩიეს საქალაქო საბჭოს დეპუტატად და დღეს, როგორც საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრი, ქალაქის მჩქეფარე ცხოვრების აქტიური მონაწილეა.

მზია ქირქასიშვილისა და მისი მეგობრების მიერ მოღალი მხატვრული გემოვნებით ნაქსოვმა ქართულმა ხალიჩებმა იზმირსა და კანადაში მოწყობილ საერთაშორისო გამოფენებზე მრავალ დამთვალიერებელს მოსტაცა თვალი. დუშეთური ხალიჩები იგზავნება მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ტაჯიკეთისა და უზბეკეთის რესპუბლიკებში.

საამქროს მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული კაცილა დავითური ჩვენი მთის მდიდარი ეროვნული კოლორიტით საზრდოობს და ყოველი ახალი ხალიჩის ნახაზს ფშავ-ხევსურეთის სოფლებში მიგნებული განუმეორებელი ორნამენტებით ამშვენებს. მის ჩანაფიქრს პირველად მზია ქირქასიშვილი აცოცხლებს. ახალ წელს იგი ახალი ხალიჩის ნიმუშით შეხვდა. მას „საქართველო“ უწოდეს, და მზიას დაზგაზეა დაქსელილი. ხალიჩა გაგაოცებთ უხუნარ ფერთა შეხამებით, უძველესი ქართული ორნამენტებითა და უნებლიედ გაგახსენდებათ პოეტის ლამაზად ნათქვამი: „სხვა საქართველო სად არის“.

ვენერა ხუციშვილი,
დუშეთის რაიგაზეთის რედაქტორის მოადგილე.

ეროვნული ეფაქრეული

ყოველთვის ასეა — მატარებლის მოსვლისას სადგური ხალხით ივსება. აქ მყოფი ყველა ვიღაცას ხვდება: ერთი-მეუღლეს, მეორე შვილს, ნათესავს, მეზობელს, მეგობარს, ნაცნობს, სტუმარს... ყველას მოლოდინის გრძნობა აქვს, უთუოდ მგზავრებიც მოუთმენლად მოელიან მატარებლის გაჩერებას. როდესაც გაივლის ურთიერთმოლოდინის გრძნობა, ჩამოსულებსა და დამხვდურებს შორის გამართულ დიალოგში, ჩვეულებრივ, გაიგონებთ შეკითხვას

— როგორ იმგზავრე?

ამ შეკითხვით შეგვხვდნენ ჩვენც რედაქციაში, მივლინებიდან რომ დავბრუნდით, გაგვიჭირდა მოკლედ გვეპასუხა...

ეს იყო 21 ნოემბერს მოსკოვერევნის მატარებელში, მე-15 ვაგონის ის კუპე, რომელშიც ჩვენი ადგილი გვეგულებოდა, უკვე ხალხით იყო სავსე. ხანშიშესული მანდილოსანი კოხტად თავმოკრულ კალათას ერთ-ერთ მგზავრს აბარებდა, არც გვარი უკითხავს, არც სახელი — ხვალ დილით ჩემი ვაჟი დაგხვდებათ და ჩამოგართმევთ, თუ არ შეწუხდებითო.

— რას ბრძანებთ, რა შემაწუხებს, თუკი დამხვდება...

— უსათუოდ დაგხვდებათ, დიდი მადლობა, მშვიდობით იმგზავრეთ. — მერე, თითქოს ჩვენი მოერიდა და თვალისწამში გაგვიმარტა: — ასე ვართ შეთანხმებული, ეს ორი წელიწადია — ყოველი თვის ბოლო კვირა დღეს მატარებელს ხვდება ჩემი შვილი და კეთილი ადამიანები ამანათს გადასცემენ. ჩვენ კარგა ხანს ვისაუბრეთ იმაზე, თუ როგორ შეიცვალა უცნობ ადამიანთა ურთიერთობა, თანდათან მკვიდრდება თანადგომის, უანგარობის, ნდობისა და სიკეთის გრძნობა. მერე ზედმეტი ხალხი მატარებლიდან ჩავიდა. კუპეში ოთხნი დავრჩით. თანამგზავრმა ქალმა ჯერ მანდარინი მოგვაწოდა, შემდეგ ფეიჰოიას ნაყოფი გაგვასინჯა, გვარწმუნებდა, ამ ციტრუსის კომპოტი და მურაბა უკეთესიაო. მამაკაცებმა ფეხბურთზე ჩამოაგდეს საუბარი.

ფანჯრიდან უბერავდა. გამცილებელმა ბილეთები ჩაიბარა. ჩვენ რომ შემცივებული შეგვნიშნა, გაგვაფრთხილა, ფანჯარა აქ კარგად არ იკეტებაო. მამაკაცებმა დაკეტვა დააპირეს. ზედმეტი მონდომებისაგან ერთ-ერთს მინა ხელში შემოატყდა. კუპეში უფრო აცივდა. ქალები გვერდით მიგვიპატიჟეს. მამაკაცები იქვე დარჩნენ და სამარკო ღვინის ტექნოლოგიაზე ჩამოაგდეს საუბარი...

მერე, როცა გამცილებელმა ლოგინის თეთრეული დაარიგა, მეზობელ კუპეში ვიღაცამ იხუმრა: ამ თეთრეულს ნეტავი ყვირილაში ხომ არ რეცხავენო. ხუმრობით ნათქვამი შედარება სინამდვილეს ჰგავდა. პლომბით შეკრული „თეთრეული“ სითეთრით მართლაც არ გამოირჩეოდა.

...არადა, მატარებელი ოჯახივით სუფთა, თბილი და მყუდრო უნდა იყოს. ყოველივე ამას კი ქმნის: ვაგონის სისუფთავე, კრიალა სარკმლის მინები, ფარდები, მშრალი თეთრეული, სუფთა წყლის სურა, დროულად შემოთავაზებული ჩაი, სამაგიდო ნათურა, რადიორეპროდუქტორი და, რაც მთავარია, ჰიგიენა გასასვლელ დერეფანში თუ პირსაბანში.

რა ღირს ყოველივე ეს? — ნუთუ იმ ყურადღებაზე უფრო ძვირი, რასაც ჩვენ ქვეყანაში ადამიანი იმსახურებს. ნუთუ ამ მოთხოვნის შესრულება არ შედის

ემბერს მატარებლის გასვლამდე სამედიცინო კონტროლს ვაგონების მოწყობილობა არადამაკმაყოფილებლად შეუფასებია (სამწუხაროა, რომ ასეთი შემადგენლობა რეისში გავიდა...).

არადამაკმაყოფილებელი შეფასების გამო სოჭიდან მატარებლის დაბრუნებისთანავე ერთმანეთს შეხვდნენ გამცილებელი, მატარებლის უფროსი, მომწყობი საამქროს ოსტატი და ბრიგადირი. ოსტატი დიმა ციმაკურიძე ამ შეფასების სიმკაცრეში თავისი საამქროს მიზეზს ეძებდა. მატარებლის უფროსი — ვლადიმერ კვირიკაშვილი შეშფოთებული იყო, რადგან უშუალოდ მას უწევს მგზავრების საჩივრების მოსმენა. მხოლოდ ბრიგადირი წიწმატობდა; სწორედ ასეთი ნაკლისადმი თვალის არიდების პოზიციიდან მოდის მტკიცე კონტროლის მიმართ პროტესტი მოტივით: შენ გგონია, მე ვერ ვხედავ?

ბრიგადირის უადგილო თავდაცვა და გულგრილობა საგანგაშოდ გვეჩვენა და როცა მისი ვინაობის დასაზუსტებლად ორი დღის შემდეგ მომწყობ_საამქროში დავრეკეთ, გვითხრეს, თანამდებობიდან გადაყენებულიაო. — სწორია, ის, ვინც უგულებელყოფს ცხოვრების მოთხოვნებს, ის, ვინც ნეგატიურ მოვლენებთან შეგუებას ქადაგებს, ახალი ამოცანების განხორციელებაში კოლექტივს ხელს უშლის, უნდა გადადგეს. თორემ საქმე ისეთ კურიოზად იქცევა, როგორიც ვაგონების სარეცხ საამქროში ხდება: რეისიდან ახლად ჩამოსული მატარებლის შემადგენლობა საგანგებო საამქროში ავტომატურად ირეცხება. ჯერ სუფთა წყალი ესხურება. შემდეგ — საპნიანი ხსნარი. ვაგონები რომ გასუფთავდეს, ჯაგრისიან დოლაბებს შორის გავლისას, უნდა გაიხეხოს, მაგრამ როგორ გაიხეხება, როცა ჯაგრისები ვაგონს ვერ სწვდება და ცალკე უქმად ტრიალებს. ეს კურიოზი სავაგონო უბნის მთავარი ინჟინრის მოვალეობის შემსრულებელმა სამუელ მანუკიანმა უბრალოდ განმარტა: გატეხილმა ფანჯრებმა ჯაგრისებს ბოლოები მოაჭრა და იმიტომ არ სწვდებაო.

როცა სიტყვა ამ ჯაგრისებზე ჩამოვარდა, ამიერკავკასიის გზათა სამმართველოს უფროსის მოადგილემ, დამსახურებულმა რკინიგზელმა გივი თოფურიამ აღნიშნა: ნაკლის მიზეზის განმარტება

იმ პირობებში, რომლებსაც რკინიგზის ტრანსპორტზე მგზავრთა კეთილი მომსახურება ისახავს.

აი, ამ ვარაუდმა გამოიწვია ჩვენი სარედაქციო დავალება შევხვედროდით მგზავრებს, გავსაუბრებოდით და ახლა მათი შთაბეჭდილება გაგვეგო. ასე, რომ რკინიგზის ბაქანზე მატარებლიდან ჩამომსვლელებსა და დამხვდურთა შორის გამართულ დიალოგებში ჩვენი შეკითხვაც გაისმა: — როგორ იმგზავრეთ?..

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში არის ერთი ოთახი, რომელსაც „საჩივართა ბიურო“ ჰქვია. ბიუროს უფროსთან ნაზი სიმონიძესთან ერთად ვათვალიერებთ საქაღალდეს, მშრომელთა წერილებს... შემდეგ გავეცანით მგზავრთა გადაყვანის განყოფილების უფროსს გიორგი მახტიაშვილს, რომელმაც სათანადო დოკუმენტებით დაგვიდასტურა, რომ კასპის რაიონის სოფელ ქსნის სკოლის პედაგოგების სურვილის გათვალისწინებით ქსანში შემოღებულ იქნა ჩქარი მატარებლის: „სამტრედია-თბილისის“ გაჩერება. ასევე შესრულდა მშენებელთა თხოვნა: მატარებლები „ბორჯომ-თბილისი“ და „სურამ-თბილისი“ გაჩერდეს გრაკალ-მეტეხის გადასარბენთან. მგზავრთა მოთხოვნით აშენდა ახალი ბაქანი ხევისწყალ-მახინჯაურ-ჩაქვის გადასარბენთან, სადაც ყველა საგარეუბნო მატარებელი ჩერდება. როგორც ჩანს, აქ მშრომელთა სურვილები და წინადადებები უფრო მეტია, ვიდრე საჩივრები.

აქ ამ ბიუროში შევიტყვეთ მგზავრთა უკეთ მომსახურების ახალი სისტემის დანერგვის ამბავი და „თბილის-სოჭის“ მატარებელს ვესტუმრეთ, სადაც ეს-ეს არის შემოიღეს ახალი წესი, რომელიც ვაგონის გამცილებელს ზედმეტი შრომისაგან ათავისუფლებს. მან ე. წ. მომწყობი საამქროსაგან ყოველმხრივ გამართული ვაგონი უნდა ჩაიბაროს. შემსუბუქდა დამლაგებლის შრომა. თითო ქალს მხოლოდ ორი ვაგონი აქვს მოსავლელი, ხელფასიც საგრძნობლად მოემატათ. სამაგიეროდ გაიზარდა პასუხისმგებლობაც. როგორც „თბილის-სოჭის“ მატარებლის უფროსმა ვლადიმერ კვირიკაშვილმა გვითხრა, 17 ნო-

საქმეს არ შველის, მოქმედებაა საჭირო. მას მხედველობაში ჰქონდა გულშემატკივრობა, რომელსაც მცოდნე, დაკვირვებული და ხელმარჯვე მუშაკები რაციონალიზატორული მუშაობით გამოხატავენ. თავად პატივცემულმა გივიმ მრავალი გამოგონება და სასარგებლო წინადადება დანერგა, როცა ხაშურის სავაგონო დეპოს უფროსად მუშაობდა. და ახლაც მას სამუშაო ოთახში უდევს საკუთარი ხელით დამზადებული თეთრეულის ახლებური სარეცხი კომპლექსის მოწყობილობის მაკეტი. ვიდრე პატივცემული გივი მაკეტს გაგვაცნობდა, გაგვიმარტა, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ მგზავრთა მომსახურების ახალი სისტემა შეიმუშავა, რომელიც მატარებლის მომსახურე პერსონალისათვის ხელფასის გადიდებას ითვალისწინებს. გამცილებელს საშუალო ხელფასი 200 მანეთამდე ექნება, დამლაგებელს — 170 მანეთამდე. ამისათვის ხელფასის ფონდში დაშვებულია დამატებითი 60 ათასი მანეთი. მან გვითხრა, რომ 1980 წლისათვის ჩვენი სავაგონო დეპო ახალი ვაგონებით შეივსება, სიახლეებია მოძველებული ვაგონების შეკეთების გაუმჯობესების საქმეში. ახლა, რაც შეეხება თეთრეულს, უკვე დაიწყო თეთრეულის ახალი დიდი პარტიის ხმარება, ზედმიწევნით შეისწავლეს თეთრეულის რეცხვის არსებითი ხერხი, რომელიც შეცვლასა და გაუმჯობესებას მოითხოვდა, და აი სწორედ ეს მაკეტიც ამ გაუმჯობესებას ითვალისწინებს.

მუშაკთა წახალისებისათვის შემოღებულია საპატიო წოდება „გამცილებელი ოსტატი", რაც ხელფასის მომატებასაც გულისხმობს. ამიერკავკასიის რკინიგზის მატარებლების გამცილებელთა კოლექტივში უთუოდ ბევრი ოცნებობს ამ საპატიო წოდების მოპოვებაზე, მათ შორის კომკავშირელი გოგონა მზია დობაძიშვილი. მზიას წინათ ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში უმუშავია, გამცილებლის პროფესიას სამ თვეში დაუფლებია, ალბათ სამი წელი არ ეყოფოდა, თავისი ხასიათი რომ არ დახმარებოდა. მზია ხალისიანი, დაუზარელი, ზრდილი, თავაზიანი და გემოვნებიანი ქალიშვილია. ვაგონი, რომელშიც იგი დიასახლისობს, გამოირჩევა სისუფთავით და სიკოხტავით. შესვლისთანავე იგრძნობა საღი ჰაერი, სუფთა გარემო.

ჩვენს რკინიგზაზე კარგი ტენდენციაა, რომ გამცილებლები ძირითადად ქალები იყვნენ, რომ მათ დიასახლისის გულისა და ხელის სითბო მიაგებონ იმ დიდ და პასუხსაგებ საქმეს, რომელსაც მგზავრთა მომსახურება ჰქვია, რომ მატარებელში — ამ ერთი დღე-ღამის ოჯახში, ჭეშმარიტად საოჯახო, სამეგობრო გარემოს შექმნას შეუწყონ ხელი.

მზიას მიაჩნია, რომ გამცილებლის შრომა დამღლელი არ არის, პირიქით, კარგ და საინტერესო ადამიანებთან შეხვედრები, გაცნობა და დამეგობრება თავისებურად ამდიდრებს ადამიანს. მოგზაურობაც საინტერესოა. მზიას უმუშავია საჩხერის, ზუგდიდის, სოჭის მატარებლებზე. ახლა თბილისი-მოსკოვის მატარებელზე გააპირონეს და იმდენი თავისუფალი დრო რჩება რომ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის მოსკოვის ღირსშესანიშნაობებსაც ეცნობა. კარგია, როცა მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების სასიამოვნო გრძნობასთან ერთად შრომა ადამიანს თვალსაწიერსაც უფართოებს და ჩვენი დიადი სამშობლოს სისხლსავსე ცხოვრების თანაზიარს ხდის.

— მგზავრის წარმოდგენას ჩვენს მუშაობაზე განაპირობებს მოლარე, ე. ი. ბილეთი, ვაგონის კეთილმოწყობა და გამცილებელი თავისი კარგი მომსახურებით — გვითხრა ვაგზლის განყოფილების უფროსმა ლეილა გოგიამ.

და მართლაც, ეს სამი პირობა რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა შრომის წინა ხაზია. ამ წინა ხაზზე მყოფი მუშაკების ყურადღებით, ფაქიზი მოპყრობითა და პასუხისმგებლობით ისხამს ხორცს კარგი სურვილი, რომელსაც ტრადიციულად კეთილი მგზავრობა ჰქვია. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები, საბჭოთა პროფკავშირების XVI ყრილობაზე რომ წარმოთქვა: ადამიანისადმი ყურადღება მარტოოდენ მატერიალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით როდი გამოიხატება. ამ გულისხმიერი მოთხოვნის შესრულებისათვის ადამიანისადმი ყურადღების გამოსახატავად აუცილებელია რკინიგზის ტრანსპორტის მომსახურე პერსონალი გაუფრთხილდეს თავის პროფესიულ ღირსებას, იყოს ორგანიზებული, მაღალი შეგნების მატარებელი და მტკიცედ დაიცვას შრომის დისციპლინა.

რ. გამსახურდია



ეკვილიბრისტი!

— მშვიდობაში! — ქალმა იქით მიიხედა, საიდანაც ხმა მოესმა. შველივით გოგოს მეგობრები შემოხვეოდნენ და კაბას უქებდნენ. ძლივს მოსწყვიტა თვალი ქალმა კაბას.

— უკაცრავად, სადაური ქსოვილია? — ჰკითხა ქალიშვილებს.

— ჩვენებური, ქართული, — და, მაღაზიისაკენ მიუთითეს.

ლამაზი ვიტრინა შორიდან შენიშნა, ეტყობოდა, მაღაზიას გემოვნებიანი და მზრუნველი ადამიანები უვლიდნენ.

ყურადღებით ათვალიერებდა საკიდრებიდან ჩანჩქერებივით დაშვებულ ქსოვილებს, საიდანაც უხვად იღვრებოდა კეკლუცი გაზაფხული და ოქროს შემოდგომა, ჩიტების ჭიკჭიკი და ონავარი ნაკადულების ჩხრიალი, წყნარი თოვლის ფიფქები და მზის კაშკაშა სხივები. სილამაზეში ერთმანეთს ეჯიბრებიან ქართული ქსოვილები „ნონა" და „ნინო", „გრემი" და „მზიური" „მაგდა" და „ლია"...

გამყიდველი მიუახლოვდა, ხომ არაფერს ინებებთო, უნდოდა ეკითხა, მაგრამ მანდილოსნის დაფიქრებულმა სახემ შეაჩერა. გამყიდველი ქალი — „საპატიო ნიშნის" ორდენის კავალერი, დარგობრივი პროფკავშირის რესპუბლიკური პრეზიდიუმის



ეროვნული ბიბლიოთეკა

წევრი. საკავშირო პროფსაბჭოს ცენტრალურ კომიტეტის წევრი, საქალაქო საბჭოს XIV მოწვევის დეპუტატი, კომუნისტი თამარ დავითის ასული ღუდუშაური, მიხვდა რომ ქალი მაღაზიაში გამოფენილი ქსოვილების თვალიერებით იყო გართული და უკეთესის ამორჩევას ლამობდა.

უცხოელი ტურისტებიც შენიშნა ქალმა, ისინიც ქსოვილებს ირჩევდნენ. მათი ენა არ ესმოდა, მაგრამ შეატყო, სტუმრები მოხიბლული იყვნენ.

ქალმა სასურველი ქსოვილი იპოვა, თავისკენ მოზიდა, მოძრავი სარკე შემოატრიალა და ქსოვილი მკერდზე აიფარა, საკუთარ სახეს და ტანს აკვირდებოდა. გულით ეწადა, იმ ქალიშვილივით მოხდენოდა კაბა, ეს ხომ ზუსტად ის ქსოვილი იყო, რომელიც მას 20 წლის წინათ ეცვა...

— ხომ მიხდება? — ჰკითხა გამყიდველს.

გამყიდველმა გულწრფელად მოუწონა არჩევანი.

— გამომიწერეთ, რა!

გამყიდველმა პაწია მაგიდა ახლოს მოაგორა და ქვითარი გამოუწერა. ქალმა გამომჭრელს — მერი გვაზავას კაბა იქვე გამოაჭრევინა და შენაძენით კმაყოფილი ისეთი მსუბუქი, მოხდენილი ნაბიჯით გაუყვა გზას, თითქოს ოცი წელი არც კი გასულიყოს მას შემდეგ, როცა იმ გოგონასავით შვენოდა ყველაფერი...

„თბილტანსაცმელვაჭრობის" №41 მაღაზია თავისი ლაზათით, ქსოვილთა მრავალფეროვნებით, სანიმუშო სისუფთავით, წესრიგითა და მომსახურების მაღალი კულტურით მართლაც ყველას ხიბლავს.

1960 წლიდან მაღაზია მხოლოდ საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მიერ გამოშვებული საქონლით ვაჭრობს. მას ამარაგებენ თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება და მაუდ-კამვოლის კომბინატი, ქუთაისის შალის საქსოვი ფაბრიკა და აბრეშუმის კომბინატი, გორის ბამბეულის კომბინატი, ხაშურის საგალანტერეო ფაბრიკა და ცხაკაიას ხალიჩების კომბინატი.

საწყობების თაროებზე ქსოვილების დაცვისა და შენახვის ყველა პირობაა გათვალისწინებული. ბამბეულის ნაწარმის სექციის გამგე, უმაღლესი ეკონომიკური განათლების მქონე ლიანა კალანდაძე ახალბედა მანანა ჭინჭარაულს გადასცემს თავის გამოცდილებას და შრომის სიყვარულს.

სექციის გამგის გრიგოლ ცნობილაძის უშუალო ხელმძღვანელობით ამ ახალგაზრდული კოლექტივის გამრჯე ქალები: უფროსი გამყიდველი ლიანა გოგოლაძე და ლამარა ცენტერაძე, ვენერა ცალხელიშვილი და გალინა ნეჩაევა, ნარმინა აბასოვა და შუშანა ფუნთუშაშვილი, მოლარე ზინაიდა მაისურაძე და სხვები მომხმარებელს თავს დასტრიალებენ, ეხმარებიან ასაკის, სახის ფერის, აღნაგობის შესაფერისი ქსოვილის შერჩევაში, ალალი, თავაზიანი ღიმილით აცილებენ მაღაზიიდან გასულთ. ან კი როგორ არ იქნება ეს კოლექტივი სანიმუშო, როცა შრომისა და დასვენების ყოველგვარი პირობა აქვს შექმნილი: თანამშრომლებისათვის მოწყობილია გასახდელი, სასაუზმო ოთახი, სანიტარიული კვანძი, დასასვენებელი ოთახი, სადაც წითელი კუთხეა მოწყობილი. ამ ოთახის ოთხივე კედელი აქ გამოფენილ უამრავ სიგელებს, დიპლომებს, ვიმპელებს და სხვა ჯილდოებს უკავიათ. 1973 წლიდან კოლექტივი ვაჭრობის სამინისტროს, ვაჭრობისა და კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის გარდამავალი წითელი დროშის მფლობელია, მრავალჯერ არის დაჯილდოებული საკავშირო ვაჭრობის სამინისტროს, ქალაქის ვაჭრობის სამმართველოს და დირექციის ქების სიგელებით და ფულადი ჯილდოებით. 1973 წლიდან მაღაზიას მინიჭებული აქვს „კომუნისტური შრომის კოლექტივის", ხოლო 1976 წლიდან „საუკეთესო მომსახურების მაღაზიის" საპატიო წოდება.

მაღაზიამ წლიური გეგმა (2.360 ათასი მანეთი) 13 ნოემბერს შეასრულა და ივალდებულა ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის შეასრულოს მომავალი წლის 4 თვის გეგმა, რამაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

საგეგმო დავალებების შესრულების გარდა, მაღაზიის კოლექტივს ევალება მომხმარებლის მოთხოვნილების შესწავლა და სწორი ინფორმაციის მიწოდება ამა თუ იმ კონკრეტულ ასორტიმენტზე. მაღაზიაში ხშირად ეწყობა საწარმოთა პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, რომელშიც მონაწილეობენ საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს, თვით იმ საწარმოს რესპუბლიკური ბაზის წარმომადგენლები.

გამყიდველს უშუალო კონტაქტი აქვს მყიდველთან და სწავლობს, თუ რას თხოულობს მომხმარებელი. მოწყობილია მომხმარებლის მოთხოვნილების შესწავლის კუთხე. მაგიდაზე აწყვია „მომხმარებლის მოთხოვნილების შესწავლის ფურცლები" (რუსულ-ქართულად). საჭირო შემთხვევაში მას შეავსებს მყიდველი და ჩაუშვებს ყუთში. ყუთი პერიოდულად იხსნება და აღნიშნულ მოთხოვნებს უგზავნიან იმ საწარმოებს, საიდანაც საქონელს იღებენ. აქვე დევს ზონარგაყრილი „წინადადებებისა და შთაბეჭდილებების წიგნი", მომხმარებელს საშუალება აქვს გამოთქვას თავისი აზრი. ვიტრინებს სისტემატურად ანახლებენ.

1964 წლიდან მაღაზიის კოლექტივს სათავეში უდგას მედლით „შრომითი მამაცობისათვის" მკერდდამშვენებული, თავისი საქმის ერთგული, კომუნისტი შალვა ცქიტიშვილი, რომლის მუყაითი გარჯის ნაყოფია მადლიერი მომხმარებლის ღიმილი, სიმშვენიერე და მრავალფეროვნება მაღაზიისა. ლამაზ მაგისტრალზე დგას იგი. თავისი მაღალმხატვრული გემოვნებით გაფორმებული ვიტრინებით, ამშვენებს მთელ პროსპექტს, ესთეტიურ სიამოვნებას ანიჭებს ყველას.

...მიდის მადლიერი ქალი და თან მიჰყვება გამყიდველის გულწრფელი დალოცვა: „მშვიდობაში"!

ზეინაბ მდინარაძე

მასწავლებელი



მას ცა იტაცებდა, ვარსკვლავებიო მოფენილი ღამის ცა, იდუმალი სილამაზით და საიდუმლოებით მოცული, აკვირდებოდა მზის ამოსვლის ნაირფეროვან ელვარებას, მონყვეტილი ვარსკვლავის გაქროლებას: ალბათ ასტრონომიც გამოვიდოდა, მაგრამ ასტრონომიის ფაკულტეტი არ იყო მაშინ თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში, მათემატიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა და წარჩინებით დაამთავრა.

თელავის სამეცნიერო კონფერენციაზე თბილისიდან ჩასულმა ცნობილმა მათემატიკოსებმა ინტერესით მოისმინეს მისი თემა „აფინურ სივრცეში პარალელობის აქსიომა“ და გზა დაულოცეს მეცნიერებისაკენ. დღეს უკვე ორმოცდაათ წელს გადაცილებული ხშირად იგონებს იმ დღეს, მაშინ, იქნებ მართლა ოცნებობდა მეცნიერების მწვერვალების დაპყრობას, სახელისა და დიდების მოპოვებას.

პირველი გაკვეთილი. იგი ელოდა ამ გაკვეთილს, ღელავდა. მაგრამ კლასში შესვლის შემდეგ მღელვარება — გატაცებამ, გაკვირვებამ შესცვალა. გოგო-ბიჭების მოციმციმე თვალებში მან ვარსკვლავების სიკაშკაშე და ბრწყინვალება იპოვა, იდუმალი სილამაზე იგრძნო, და მაშინვე გაიბა უხილავი ძაფი ამ ვარსკვლავთვალუბა მოსწავლეებს და მასწავლებელს შორის. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, მაგრამ ეთერ სიმონიას დღესაც თითქოს თვალწინ უდგას ალვანის საშუალო სკოლაში ჩატარებული პირველი გაკვეთილი. ციური ვარსკვლავების სიყვარული მიწიერი ვარსკვლავების სიყვარულმა შესცვალა და იგრძნო, რომ ამიერიდან ის მხოლოდ ამ ვარსკვლავების გზამკვლევი და მეგზური იქნებოდა, და ამისთვის უფრო მეტი ცხოვრებისეული დაკვირვება და გამოცდილება დასჭირდებოდა, ვიდრე ასტრონომობისათვის.

ათი წელი გაატარა ეთერ სიმონიამ ალვანის საშუალო სკოლაში. ეს იყო ძიების და დახელოვნების წლები. აქ მუშაობის დროს დაუსწრებლად დაამთავრა პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, მათემატიკის სპეციალობით. შემდეგ ათი წელი თბილისის 117-ე საშუალო სკოლაში იმუშავა, 1970 წლიდან კი, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო მასწავლებელი აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის 53-ე საშუალო სკოლაში მიიწვიეს.

* * *

სკოლაში სიწყნარეა. კანტი-კუნტად თუ გამოჩნდება ვინმე დერეფანში. მათემატიკის კაბინეტში კი უკვე დაიწყო სამუშაო დღე. ამ კაბინეტში მეცადინეობა ნახევარი საათით ადრე იწყება. ნახევარი საათით ადრე მოდიან აქ იმ კლასის მოსწავლეები, რომელთაც ეთერ სიმონია მათემატიკას ასწავლის, ამ მეცადინეობაზე მოიჩქარიან მათემატიკის შესწავლით დაინტერესებული სხვა კლასის მოსწავლეებიც.

ნახევარი საათი დროის არც თუ ისე დიდი მონაკვეთია, მაგრამ ამ მონაკვეთში მოსწავლეები ასწრებენ რთული მაგალითების და ამოცანების ამოხსნას, ამზადებენ მათემატიკური და გეომეტრიული სხეულების მოდელებს, ისმენენ საინტერესო მოხსენებებს, მსჯელობენ, კამათობენ. მოსწავლეები ხალისით ესწრებიან მეცადინეობას და იციან, რომ ამ შრომის ჯილდო იქნება მაღალი ნიშანი, ან სასკოლო, სარაიონო, თუ რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე მოპოვებული სიგელები და დიპლომები. ყველაზე ძვირფასი ჯილდო კი მათთვის არის სიყვარული მასწავლებლის, ეთერ სიმონიას შეუდარებელი ღიმილი, შექება:

— ყოჩაღ, ჩემო კარგო, დიახ, დიახ, ასე, მადლობელი ვარ.

— „მადლობელი ვარ“ — რა სიბრძნე, რა სითბო, რა ტაქტი გამოსჭვივის მასწავლებლის ამ სიტყვებში.

ზოგჯერ დაფასთან გამოძახებული მოსწავლე ზუსტად ვერ განსაზღვრავს თეორემას, სწორი ხერხით არ ხსნის ამოცანას, მასწავლებელი არ ჩქარობს შეცდომის გასწორებას. გასწორებას ყოველთვის მოასწრებს, მაგრამ ისე უნდა გაუსწოროს, რომ არც გაძახებულმა მოსწავლემ და არც დანარჩენებმა აღარ გაიმეორონ.

— აბა, ჩემო კარგო, მე მადლობელი ვიქნები თუ დაუფიქრდები და მიხვდები რა შეცდომა დაუშვი, თუ გაასწორებ იმ სიტყვას, რომელიც არ უყვარს ეთერ მასწავლებელს, იფიქრე, ნუ ჩქარობ!

და მოსწავლე ფიქრობს, ფიქრობს კლასიც. შემდეგ კი ერთად, სწორი ხერხით ხსნიან მოსწავლეები ამოცანას, ეთერ მასწავლებლის „არა საყვარელ“ სიტყვას სცვლიან ზუსტი მათემატიკური ტერმინით და ყალიბდება თეორემა, ყალიბდება ხასიათი, პიროვნება, რომელიც სწავლობს ფიქრს, მსჯელობას, ემზადება ცხოვრებისათვის.

შეუმჩნევლად მთავრდება გაკვეთილები. მათემატიკის კაბინეტში ისეთივე ხალისით როგორც დილას, ეთერ სიმონია მათემატიკის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანების წევრებს ეგებება. აქ მისი ხელმძღვანელობით ხდება ახალგაზრდა პედაგოგთა დახელოვნება. ეთერ სიმონია თავის ცოდნას, გამოცდილებას უზიარებს მათ.

სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ კი ფეხით გაუყვება შინისკენ მიმავალ გზას ერთი ჩვეულებრივი მასწავლებელი. ვინ არის ის, მას ხომ შეეძლო სახელმოხვეჭილი მეცნიერი გამხდარიყო, მაგრამ მან ეს გზა აირჩია, მასწავლებლის რთული და პასუხსაგები გზა მასწავლებლისა, რომელიც თავად ზრდის სახელმოხვეჭილ მეცნიერებს, საზოგადო მოღვაწეებს, უპირველეს ყოვლისა კი მშრომელ, პატიოსან ადამიანებს, რომელთაც ჩვენი ხვალინდელი დღე აბარიათ.

კონა მიქაძე

რუსუდან გაჩეჩილაძე

ჩვენი კოლეგა რუსუდან გაჩეჩილაძე შედარებით ახალგაზრდა მოქანდაკეთა თაობას ეკუთვნის. იგი თბილისის სამხატვრო აკადემიის ხატვის კათედრის უფროსი პედაგოგია. მისი შესანიშნავი ნახატებიდან თავისუფლად შეიძლება საინტერესო გამოფენის მოწყობა, მაგრამ რუსუდანს ეს რატომღაც არ აინტერესებს... ის კი არადა, მისი მრავალრიცხოვანი ქანდაკებებიც ერთად გამოფენილი არავის უნახავს. რუსუდან გაჩეჩილაძე ამბობს, ჯერჯერობით, ჩემი პერსონალური გამოფენის მოწყობა ნაადრევიაო. ეს მისი შეცდომაა! ჩვენი დიდი მხატვარი და მოქალაქე ელენე ახვლედიანი ყოველთვის მოგვიწოდებდა მოგვეწყო პერსონალური გამოფენები. მოგვიწოდებდა და ხელსაც გვიწყობდა! მისი ღრმა რწმენით, ასეთი გამოფენები მხატვარს ზრდის, სტიმულს აძლევს, ამასთან ერთად, საკუთარ ნაკლსაც უკეთ უჩვენებს. ეტყობა, რუსუდანი სხვაგვარად ფიქრობს; ეს საკუთარი მდიდარი შინაგანი სამყაროს პატრონი ხელოვანი მხოლოდ და მხოლოდ შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობს. არ ზრუნავს თავის გამოჩენისთვის... იგი ჯანსაღი, ლაღი მხატვარია, თანაც მეტად რთული და ღრმა. სერიოზული და შრომისმოყვარე შემოქმედი მთელ ცხოვრებას წმინდა ხელოვნებას უძღვნის. ჩვენ შესანიშნავი მოქანდაკეები და მონუმენტალისტები გვყავს: ზოგნი ეროვნული დეკორატიული მოტივებით, ჩვენი ფესვების განმტკიცებით ვართ გატაცებულნი, და ეს აუცილებელიც არის, მაგრამ, მაინც, ხელოვნების საგანძურში მთავარია დაზგური ქანდაკება. დაზგური ქანდაკებისადმი ოდითგანვე ასეთი ძლიერი ინტერესი რომ არ იყოს, მაშინ ხომ ქანდაკების სპეციფიკაც გაღარიბდებოდა! რუსუდან გაჩეჩილაძის ყოველ ნამუშევარში სწორედ ეს — ქანდაკებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ამოცანაა გადაწყვეტილი, — მეტად საინტერესოდ, პლასტიკურად და ძლიერი შინაგანი ფორმით. მოქანდაკე სძლევს დასახულ ამოცანას და ამის შემდეგ უფრო ღრმად მიდის ახალი ძიებისაკენ: რა მკაცრი საშუალებებით, როგორი მკვრივი ფორმით და ლბილი გადასვლებით წარმოგვიდგინა მან ორი სტუდენტის ფსიქოლოგიური სახე თავის ახალ პორტრეტებში. (გ. გეგეჭკორი, რ. ებრალიძე). თითქოს, რა მსუბუქად, რა იოლად გაკეთდა ეს ყველაფერი. ჩვენ კი კარგად ვიცით, რა შრომატევადია ამგვარი მიღწევები! რუსუდან გაჩეჩილაძე მხოლოდ ქანდაკების სპეციფიკით გატაცებული მოქანდაკე როდია. იგი მხოლოდ ერთი პრობლემით არ იფარგლება: იზიდავს და აინტერესებს ჩვენი ყველა ცხოვრებისეული მოვლენა, ეხმიანება ყველაფერს: დიად გამარჯვებებს სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში, მიღწევებს სპორტში, მუსიკაში; მან ქანდაკებათა მთელი სერია შექმნა. ეს არის მქსოველი, მეცხვარე, მეთევზე. და ყველგან მოძებნილია სახე, ფორმა— აქტიური, კონსტრუქციული, გამარტივებული და ძლიერი, ზოგან ოდნავ დეკორატიულიც; რა შინაგანი სიცოცხლე და პულსირებაა! — იგი ჭეშმარიტად განწყობილებების შექმნის ოსტატია. მახსენდება მის მიერ ომის თემებზე შესრულებული ნამუშევრების ტრაგიზმი...



თიბათვე



ფიგურა

რუსუდან გაჩეჩილაძე ყველა რესპუბლიკური და საკავშირო გამოფენის მონაწილეა. ხშირად იბეჭდება მისი ნამუშევრები საკავშირო ჟურნალ-გაზეთებში, აქვს შეკვეთები მოსკოვიდან. საქართველოს მხატვართა კავშირმა მას წელიწადის საუკეთესო ნამუშევრისათვის მედალი გადასცა. დიახ, რუსუდანს ბევრი დამფასებელი ჰყავს. ჩვენ გვინდა ახალი წარმატებანი ვუსურვოთ ძვირფას კოლეგას. გვინდა, ჩვენი ახალგაზრდა მხატვრები კარგად გაეცნონ მის ნამუშევრებს, მის პიროვნებას, რადგან ავტორიტეტები, მათი უმწიკვლო მაგალითები აუცილებელია ახალგაზრდათა აღზრდის კეთილშობილურ საქმეში!

მოქანდაკე **გუგა მიქაძე**,
საქართველოს დამსახურებული მხატვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ძშვილდოსანი

ალაზნის ველი



რეზოს პორტრეტი

ანეტას პორტრეტი



გოგის პორტრეტი



უკანასკნელი ბარიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲮᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲒᲔᲙᲕᲚᲔᲕᲘ

ახალ წელს გვილოცავენ ლენინური სტიპენდიატები, ჩვენი მომავლის მშენებელი სასახელო ახალგაზრდები, კომკავშირული წრთობის სტუდენტები, დღევანდელობის საქმის ენთუზიასტები: ელეონორა წიკლაური, თამრიკო კოკოჩაშვილი, ნანა კვახაძე.

ᲔᲚᲔᲝᲜᲝᲠᲐ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘ ყაზბეგელია, ოქროს მედლით დაამთავრა ქ. ორჯონიკიძის ა. წერეთლის სახელობის მე-19-ე ქართული საშუალო სკოლა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

უნივერსიტეტმა გულში ჩაიკრა ნიჭიერი გოგონა. მაშინვე, პირველ კურსზევე, ჯგუფხელად და ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის აკადემიური სექტორის ხელმძღვანელად აირჩიეს. მალე კარგი მუშაობისათვის ფაკულტეტის დეკანისა და უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით მადლობებიც დაიმსახურა. ეს იყო პირველი გამარჯვება, და მერე სულ ასე წარიმართა მისი სტუდენტური ცხოვრება.

ელეონორა წილკაურის პირველმა ნაშრომმა — „საბჭოთა ახალგაზრდობის მორალური სახე“ — სტუდენტთა VI საკავშირო კონკურსის საუნივერსიტეტო ტურში ბრწყინვალედ გაიმარჯვა. რისთვისაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა და კომკავშირის კომიტეტმა საპატიო სიგელითა და დასასვენებელი სახლის საგზურით დააჯილდოვეს. შემდეგი ნაშრომი — „მიზეზობრივი კავშირი დანაშაულებრივი უმოქმედობის დროს“ — აგრეთვე მოიწონეს და უნივერსიტეტის რექტორატმა და სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებამ კვლავ სიგელი არგუნა. აქედან მოყოლებული ელეონორა წიკლაური აქტიურად მონაწილეობს სისხლის სამართლის სამეცნიერო წრის მუშაობაში. მისი ახალი ნაშრომიც „ბიორითმების თეორიის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ სისხლის სამართალსა და კრიმინოლოგიაში“ აღინიშნა ქ. რიგაში გამართულ სტუდენტთა კონფერენციაზე.

1978 წელს, სტუდენტთა საკავშირო დღესთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი ელეონორა წიკლაური საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დააჯილდოვა სპეციალური სამკერდე ნიშნით — „მაღალი აკადემიური მოსწრებისა და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის“, ხოლო საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა საპატიო სიგელით მიულოცა ეს წარმატება.

1978-79 სასწავლო წელს ელეონორა წიკლაური ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელობს. ამ საბჭომ კათედრებთან არსებულ სამეცნიერო წრეების ხელმძღვანელებთან ერთად სერიოზულად იმუშავა, რათა ფაკულტეტი ღირსეულად წარმდგარიყო, როგორც ქ. სვერდლოვსკში გამართულ საკავშირო კონკურსზე, ისე საუნივერსიტეტო კონფერენციაზეც, რომელიც „სტუდენტურ დღეებთან“ დაკავშირებით 1979 წლის 27-29 აპრილს გაიმართა.

დიდმა წარმატებამ სწავლაში, აქტიურმა კომკავშირულმა საქმიანობამ, სიგელებმა და ჯილდოებმა განაპირობა ის, რომ ელეონორა წიკლაური ვ. ი. ლენინის სახელობის სტიპენდიატი გახდა. დიდი მოვლენა იყო მის ცხოვრებაში 1979 წლის ზაფხულიც, როცა იგი სკკპ წევრობის კანდიდატად მიიღეს.

შარშან მოწინავე სტუდენტმა შრომითი სემესტრი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაატარა და თავის რაზმთან ერთად იქაც ისახელა თავი.

ამჟამად ელეონორა წიკლაური მეხუთე კურსის სტუდენტია. სადიპლომო პრაქტიკას თბილისის პირველი მაისის რაიონის პროკურატურაში, ადვოკატურასა და სახალხო სასამართლოში გადის.

ელეონორას ოცნება კვლავ სწავლაა, ფიქრობს მეცნიერების გზას გაჰყვეს. სად იმოღვაწებს, მეცნიერებას თუ პრაქტიკულ საქმიანობას აირჩევს, სულ ერთია, ყოველთვის გაამართლებს თავისი პედაგოგების ნდობას და არ შეარცხვენს იურისტის სახელს.

ᲗᲐᲛᲠᲘᲙᲝ ᲙᲝᲙᲝᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘ პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მეხუთე კურსის წარჩინებული სტუდენტია. მას პედაგოგის პროფესია შემთხვევით არ აურჩევია, ჯერ კიდევ ბავშვობიდან „სკოლობანასა“ და „მასწავლებლობანას“ თამაში უყვარდა; ასაკით მასზე უმცროსებს ადვილად უმეგობრდებოდა და არასოდეს უჭირდა ყმაწვილებთან საერთო ენის გამონახვა.

ПЕДАГОГИС შინაგანმა მოწოდებამ, ბავშვების დიდმა სიყვარულმა სტუდენტური ზაფხულებიც მათთან გაატარებინა მომავალ მასწავლებელს. პირველად პრაქტიკაზე კიკეთის პიონერთა ბანაკში წავიდა პიონერხელმძღვანელად, შარშან კი უკვე უფროსი მასწავლებელი გახლდათ ცხვარიჭამიის პიონერთა ბანაკ „კოსმოსში“, სადაც ქართველ ბავშვებთან ერთად მოკავშირე რესპუბლიკების პიონერებიც ისვენებდნენ. თამრიკოს ტომსკელ მოსწავლეებთან მოუხდა მუშაობა.

ზაფხული დიდი ხანია გავიდა, თამრიკო კი პატარა მეგობრებისაგან უამრავ წერილს იღებს. თითქმის ყველა ბარათში წაიკითხავთ ასეთ სტრიქონებს: „ნეტავი კიდევ ჩამოვიდე თქვენს მზიურ საქართველოში, ჩვენს პიონერთა ბანაკში, ოღონდ თქვენ თუ იქნებით, თამრიკო მასწავლებელო“.

ბავშვების ეს გულწრფელი სიტყვები დიდი გამარჯვებაა მომავალი პედაგოგისათვის, ნამდვილად ყველაზე დიდი ჯილდო და მადლობაა, რაც დღემდე მიუღია ინსტიტუტში სწავლის დროს.

ქების სიგელები და წარმატებები კი არ აკლია ნიჭიერსა და მონდომებულ ახალგაზრდას.

თამრიკო კოკოჩაშვილი ფრიადოსანია. პირველი კურსიდან ჩაება სამეცნიერო წრეების მუშაობაში, ამუშავებდა თემებს რუსულ ენაში, მეთოდიკასა და პედაგოგიკაში. მისმა სტუდენტურმა ნაშრომებმა საინსტიტუტო რესპუბლიკურსა და საკავშირო კონფერენციებზე ქების სიგელები და პრემიები დაიმსახურა. იგი ჩაბმულია ინსტიტუტის საზოგადოებრივ და კომკავშირულ ცხოვრებაშიც. მესამე წელია, ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილეა და სასწავლო-აღმზრდელობითს სექტორს ხელმძღვანელობს.

1977 წელი თამრიკო კოკოჩაშვილისათვის ბედნიერი წელი იყო. მაშინ აირჩიეს განათლების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების ყრილობის დელეგატად, იმავე წელს დაენიშნა ვ. ი. ლენინის სახელობის სტიპენდია.

1978 წელს თამრიკო კოკოჩაშვილი სკკპ წევრობის კანდიდატი გახდა. შარშან კი იგი თბილისის საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატი იყო. ახლა თამრიკო საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სტუდენტთა რესპუბლიკური საბჭოს წევრია. ფრიადზე სწავლისა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობისათვის დაჯილდოებულია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ქების სიგელებით.

ნანა კვახაძემ თბილისის 112-ე საშუალო სკოლა დაამთავრა და თბილისის უცხო ენების ინსტიტუტის გერმანული ენის ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

პირველი კურსიდანვე მიიქცია ნანამ პედაგოგთა ყურადღება, როგორც უაღრესად მონდომებულმა და შრომისმოყვარე სტუდენტმა, ამიტომაც იყო, რომ ჯგუფის პროფორგად აირჩიეს.

ახლა ნანა მეოთხე კურსის წარჩინებული სტუდენტია და უცვლელი პროფორგი. პროფორგს კი ბევრი რამ ევალება: უშუალო კავშირი ინსტიტუტის პროფკავშირთან, პროფკავშირის საწევროების აკრეფა, მორიგეების გამოყოფა. წესრიგის დამყარება დიდი დასვენების დროს, ჯგუფის მონაწილეობა ექსკურსიებსა და სხვადასხვა ღონისძიებებზე.

ამავე დროს ნანა ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის წევრია და საინფორმაციო სექტორს ხელმძღვანელობს.

ნანა კვახაძე პირველი კურსიდან მონაწილეობს ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციებში. ამჟამად რთულ თემას ამუშავებს გერმანულ ლექსიკოლოგიაში — „სიტუაციური სამეტყველო კონტექსტი და ვალენტობა“.

1978 წელს ნანა კვახაძეს ვ. ი. ლენინის სახელობის სტიპენდია დაენიშნა, ხოლო 1979 წელს სკკპ წევრობის კანდიდატად მიიღეს.

ნანა სხვა ნიჭითაც არის დაჯილდოებული, მღერის ფაკულტეტის ანსამბლში და სტუდენტური დღეების ლაურეატია.

* * *

ასეთი სტუდენტები, ასეთი ქალიშვილები ვინატროთ ყველგან, ყველა ოჯახში. გვახარებს მათი უნარი, შემართება, წარმატება. ისინი სამაგალითონი არიან ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

ასეთი ღირსებით შემკული ფერიები ხშირად გვესტუმრონ რედაქციაში, გესტუმრნონ თქვენც, ჩვენო მკითხველებო, დაგვილოცონ ახალი წელი, ფეხბედნიერი იყოს მათი მეკვლეობა. ჩვენც ვულოცავთ ახალ წელს და ახალ-ახალ წარმატებებს ვუსურვებთ სახელოვან ქალიშვილებს...

ირმა ჩოფიკაშვილი

ღვაწლმოსილნი

ჯარხალოველების ჭერა

არიან ადამიანები, რომელნიც საზოგადოებას გმირებად არ ევლინებიან, არც რაიმე განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ, არც პატივით მოსილ ალიარებაზე აქვთ პრეტენზია... ისინი უბრალოდ, უაღრესად დიდი ადამიანური მოწოდებით და სულისკვეთებით ემსახურებიან სამშობლოს, ხალხს, იღვწიან სიკეთისათვის.

ბავშვის საერთაშორისო წელმა ერთი ამბავი გამახსენა... ეს მოხდა 1962 წლის ნოემბერში... ერთმა სიმპათიურმა, ხანშიშესულმა კაცმა, მოკრძალებით შეაღო ქ. თბილისის პარტიის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივნის კაბინეტის კარი. — მობრძანდით, — ფეხზე წამოდგა რაიკომის მდივანი გ. დანელია. — დაბრძანდით, რისთვის შეწუხებულხართ?

— მე... გაუბედავად დაიწყო მოსულმა... — თქვენი რაიონის მკვიდრი გახლავართ—დამსახურებული ინჟინერი ესტატე ვასილის ძე ჭარხალაშვილი. თითქმის 40 წელზე მეტია 9 ძმის ქუჩაზე ვცხოვრობ ოჯახით. ჩემი მეუღლე თამარ ალექსანდრეს ასული ბედიანაშვილი დამსახურებული ექიმი გახლავთ. მე და თამარი ჩვენი სიცოცხლისა და ცხოვრების მანძილზე დაუღალავად ვემსახურებოდით ჩვენს ქვეყანას, პარტიას, ხალხს... პატიოსანი შრომით ღირსეულად შოვიხადეთ ჩვენი ადამიანური ვალი სამშობლოს წინაშე. სამსახურს კარგად ვუთავსებდით ოჯახურ ცხოვრებასაც. სამი ქალიშვილი აღვზარდეთ, მათ წინაშეც ვალმოხდილნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭარხალაშვილების ოჯახში საბავშვო ბაღის გახსნა

ვართ. ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ ღირსეული მოქალაქეები აღგვეზარდა.

და აი, დღეს ისინი ცხოვრების ფერხულში ჩაბმულნი მშობელთა კვალს მისდევენ. თავიანთი საქმიანობითა და მოღვაწეობით გარკვეული წვლილი შეაქვთ ჩვენი დიადი ქვეყნის მშენებლობისა და მართვის საქმეში. — თავს არ შეგაწყენთ — განაგრძო პატივცემულმა ესტატემ, დღეს თქვენთან ერთმა გადაწყვეტილებამ მომიყვანა. ის სახლი, სადაც დღეს მე, ჩემი მეუღლე და ერთი ქალიშვილი ვცხოვრობთ ორსართულიანი კერძო ბინაა. გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი სახლი რაიონს გადავცეთ საბავშვო ბაღისათვის. ჩვენ პატარა ბინასაც დავჯერდებით, დიდი მოთხოვნილებისანი არა ვართ. ეს დიდი სახლი კი, ბავშვებს გამოადგებათ, მითუმეტეს, რომ ამ უბანს ძალიან უჭირს ბავშვთა კერა. მე და ჩემს მეუღლეს გვსურს, რომ ჩვენს მამაპაპეულ ჭერქვეშ მუდამ სიცოცხლე იყოს...

რაიკომის მდივანი განცვიფრებული შეჰყურებდა მოსაუბრეს. წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა.

— იქნებ კიდევ კარგად მოიფიქროთ, ნაჩქარევი არ იყოს თქვენი გადაწყვეტილება? — არა! მტკიცედ მიუგო ჭარხალაშვილმა, — ეს გადაწყვეტილება მტკიცე და ურყევია, ამაზე კარგახანია ვფიქრობთ, დღეს კი... აი ხომ ხედავთ...

— მეტად კეთილი და დიდი ბუნების ადამიანი ბრძანებულხართ! — აღტაცებით თქვა რაიკომის მდივანმა და ორივე ხელი ჩამოართვა ესტატეს.

ამ შეხვედრიდან ორიოდე კვირის შემდეგ ჭარხალაშვილის ორსართულიანი სახლი ოქტომბრის რაიონის განათლების განყოფილებას ჩაბარდა.

რაიონის განათლების განყოფილების გამგე ამხ. ქ. ჭანიშვილი დიდი ენთუზიაზმით შეუდგა საქმეს. საბავშვო ბაღის გამგედ მე დამნიშნეს. ამ საქმეში ნაკლებად გამოცდილი გახლდით, მაგრამ დიდი მონდომებითა და ინტერესით შევები დიდი პასუხსაგები მოვალეობის შესრულებას.

შემუშავდა სახლის რეკონსტრუქციის პროექტი. გაჩაღდა სარემონტო სამუშაოები. და აი, 1963 წლის 1 სექტემბერს პატარების ჟრიამულმა მოიცვა ჭარხალაშვილების ყოფილი კარ-მიდამო.

ამ უბნის მცხოვრებთა სიხარულს ხომ საზღვარი არ ჰქონდა. მათი დიდი ხნის ოცნება სინამდვილედ იქცა.

გადიოდა დრო. თანდათან მშვენდებოდა და იზრდებოდა ჭარხალაშვილისეული კერა... ათასობით აღსაზრდელმა გაიარა ამ კედლებს შორის, ათასი სიხარული და ბედნიერება იზეიმა ამ საბავშვო ბაღმა წლების მანძილზე.

და დღეს, როცა პატივცემული ესტატე და მისი მეუღლე თამარი ამ ქვეყნად აღარ არიან, მათ მამაპაპეულ ჭერქვეშ სიცოცხლე გრძელდება.

37-ე საბავშვო ბაღის პედაგოგიური კოლექტივი, აღსაზრდელები და მათი მშობლები მადლიერების გრძნობით იხსენებენ იმ კეთილ ადამიანებს, რომელთაც ჩაუქრობელი ცეცხლი დაანთეს ჭარხალაშვილების ნასახლარში.

ქ. ქოქრაშვილი

ლიჩსეული მეკეულიშვილის ლიჩსეული მეკვიდრე



იონა მეუნარგია და ნიკო ნიკოლაძე

ქართულ ლიტერატურას თითქოს ილბლად დაჰყვა რუსთაველიდან მოყოლებული მწერალთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის რთული გზა. მეტად პასუხსაგები მისია იკისრა მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის პლუტარქემ, როგორც მასზე სიმონ ჯანაშიამ თქვა, იონა მეუნარგიამ. იგი თავის თავს „ქართული ლიტერატურის მეწვრილმანესა“ და „ფაქტების მომქუჩებელს“ უწოდებდა. 80-იანი წლებიდან მოყოლებული სიკვდილის ბოლო წუთებამდე ფანქარმომარჯვებული დაჰყვებოდა იმდროინდელ ყველა დიდ მოღვაწესა და მწერალს. ამ „წვრილმანებით“ მან ძალზე დიდი საქმე გააკეთა. დაგვიტოვა ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გიორგი და დავით ერისთავების, მამია გურიელის, გრიგოლ ჭალადიდელის, კოლხიდელის, დავით და ნიკო დადიანების ცხოვრების აღწერა; მოგონებები ილიასა და აკაკიზე.

თბილისის სასულიერო სემინარიიდან განდევნილი იონა, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პირი, განათლების მისაღებად შვეიცარიაში გაემგზავრა. მან ორი წელი ისწავლა ჟენევის აკადემიაში, შემდეგ პარიზში, სადაც დაუახლოვდა ფრანგ განმანათლებლებს, საზოგადო მოღვაწეებსა და მწერლებს, მათ შორის ვიქტორ ჰიუგოს. დიდ ფრანგ მწერალთან შეხვედრამ მის მომავალ შემოქმედებაზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

იონა მეუნარგიას ფუჭად არ გაუტარებია ორი წელი პარიზში. მან მოიკვლია იქაურ ბიბლიოთეკებში დაცული მასალა საქართველოს შესახებ.

სამშობლოში დაბრუნებულმა იონამ პირდაპირ „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციებს მიაშურა, შემდეგში იგი დიდხანს ამ ჟურნალების თანამშრომელი და თანარედაქტორი გახლდათ. რაფიელ ერისთავთან და იაკობ გოგებაშვილთან ერთად მან დიდი ღვაწლი დასდო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის სრულყოფის საქმეს, ოჯახებში შეკრიბა პოემის 22 ხელნაწერი. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში მცხოვრებ ჟ. მურიესა და ბარონესა ბერტა ფონ-ზუტნერის დახმარებით მანვე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულ ენაზე. ამ საშვილიშვილო საქმისათვის ილიამ დიდი შეფასება მისცა მეუნარგიას. 1884 წელს საქართველოში სტუმრად ჩამოვიდა საფრანგეთის ელჩი. „დროების“ რედაქციამ შეხვედრა მოუწყო საპატიო სტუმარს. მგზნებარე სიტყვები წარმოთქვეს ილიამ და აკაკიმ და აქვე შეეხნენ იონა მეუნარგიასეულ „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ თარგმანსაც.

უნგრელმა მხატვარმა მიხაი ზიჩიმ მეუნარგიას თარგმანის მიხედვით შექმნა „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი ილუსტრაციები, რომლითაც შემდეგ ქართველიშვილისეული მდიდარი გამოცემა დასურათდა.

იონა მეუნარგიას შემოქმედება მარტო ამგვარი მოღვაწეობით როდი შემოიფარგლება, მას ქართველი საზოგადოებრიობა იცნობს როგორც პუბლიცისტსა და კრიტიკოსს, მკლევარსა და ხალხური მარგალიტების შემკრებს. იგი წლების მანძილზე აქტიურად მონაწილეობდა იმდროინდელ ყველა ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთში. მისი სამოქმედო ასპარეზი იყო „ტიფლისკი ვესტნიკი“, „დროება“, „ივერია“, „კავკაზი“, „ნოვოე ობოზრენიე“, „კვალი“, „მოამბე“...

სერგეი მესხისა და შემდეგ ივანე მაჩაბლის დროს მეუნარგია ხშირად ასრულებდა „დროების“ რედაქტორის მოვალეობას. მისი ფსევდონიმები იყო „ლელო“, „ნაკვესი“, „ცაიშელი“.. გარდა ამისა, მის კალამს ეკუთვნის ორი მასალა არქეოლოგიურ მოგზაურობაზე—სვანეთსა და აჭარა-ქობულეთში. მან შეადგინა „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე შინაარსი რუსულ ენაზე...

რევოლუციის გამარჯვებით იმედმოცემული მხცოვანი მოღვაწე ენთუზიაზმით შეუდგა მუშაობას. იგი აირჩიეს სამეგრელოს სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში საპატიო წევრად და ხელმძღვანელ მუშაკად, ხოლო შემდეგ — მოსამართლეთა ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ. ამ უკანასკნელი მოვალეობის შესრულებისას გარდაიცვალა 1919 წელს. დიდი პატივით დაკრძალეს მშობლიურ სოფელ ცაიშში, სადაც ახლახან გაიხსნა მისი სახლ-მუზეუმი.

ჩვენ გავიცანით მისი ერთ-ერთი შთამომავალი, შვილიშვილი (ქალიშვილის — სალომეს მხრიდან) ნუნუ ხუნდაძე, მთელ დასავლეთ საქართველოში ცნობილი დასტაქრის, მუხაძის ასისტენტის, ან გარდაცვლილ გერმანე ჯიბუტის მეუღლე, რომელსაც ბაბუამისის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის ძალზე საინტერესო მასალები და პირადი ნივთები შეუკრებია და შეუნახავს.

ღირსეული მამულიშვილის ღირსეული მემკვიდრე — ასე შეიძლება ვუწოდოთ ქალბატონ ნუნუს, რომელიც იონა მეუნარგიას არქივს, მის უნიკალურ ბიბლიოთეკას, მისეულ ნივთებს ფარვანასავით დასტრიალებს თავს. ნუნუ რომ არა, ალბათ იონას სახლ-მუზეუმს ბევრი რამ დააკლდებოდა. მაგიდაზე საკმაოდ მოზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

სალომე მეუნარგია

სტუდიაში

ჩვენს დედაქალაქში, ორჯონიკიძის რაიონში, არსებობს მოსწავლეთა ძალებით შექმნილი თეატრი; მოსწავლეთა ექსპერიმენტული თეატრი-სტუდია. მისი პირველი ნაბიჯები თბილისის 53-ე და უშინსკის სახელობის პირველი რესპუბლიკური ექსპერიმენტული საშუალო სკოლის კედლებში გადაიდგა. იგი საზოგადოებრივ სანყისზეა შექმნილი. ამ თეატრის საქმიანობა რამდენჯერმე გაშუქდა გაზეთებში „ახალგაზრდა კომუნისტი", „მოლოდიოჟ გრუზიი" და სხვა, სადაც მოინონეს მოსწავლეთა სპექტაკლები: „ბიჭები 25-ე ქუჩიდან", „ჭინჭრაქა", „ჩარლი", „ბრალდება"... თეატრს ახალგაზრდა რეჟისორი ოთარ მაცაბერიძე ხელმძღვანელობს. ვაქვეყნებთ ოთარ მაცაბერიძის საუბარს „სტუდიაში მხოლოდ ბავშვებია".

ყველასათვის კარგადაა ცნობილი თეატრის როლი მოსწავლეთა, ბავშვთა აღზრდის უდიდეს საქმეში. განმტკიცდეს მოსწავლისა და სკოლის კავშირი თეატრთან — აი, თითოეული ჩვენგანის მარადიული საზრუნავი... პატარაობიდანვე ვოცნებობდი გავმხდარიყავ რეჟისორი ან პედაგოგი, და როდესაც მოსწავლეთა თეატრალური კოლექტივის ჩამოყალიბებას შევუდექი, თითქოს ამ ორ ოცნებას ერთად შევასხი ფრთა... უკვე მეექვსე წელია ჩვენს თეატრს, ჩვენს ბავშვებს დავუკავშირე ახალგაზრდული შემოქმედება, ენერგია, შეიქმნა ჩვენი თეატრი სტუდია. და ამ საქმეში ყოველთვის ვგრძნობთ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის უშუალო დახმარებას, მხარდაჭერას. ჩვენი თეატრი-სტუდიის შექმნაში მზრუნველი როლი ითამაშა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკურმა სამეცნიერო-მეთოდურმა ცენტრმა, კულტურის სამინისტრომ. საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა კომკავშირის ორჯონიკიძის რაიკომს მიგვამაგრა და ჩვე-

რდილი სია დევს იმ ნივთებისა, რომლებსაც ნუნუმ სამუზეუმო ღირებულება არ გუნა: წიგნის კარადა ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედიის 82 ტომეულით, ნარდი, ხალიჩა, ლომბერნის მაგიდა, საწერი მაგიდის სამელნის კომპლექტი, სარწეველა-სავარძელი, სამი საუკუნის წინანდელი ინდური კირმანშალი, იონა მეუნარგიას მეუღლის ნინო ჯორჯიკიას სხვადასხვა ნაქარგობანი, ბაგრატიონ-მუხრანსკის გერბით დამშვენებული და მათ მიერვე ნაბოძები ვერცხლისა და მელქიორის თეფშები, სასმისები, აზარფაშები, ხუთი ძველებური სასანთლე, დასაკიდი ლამპა, იონას ნაქონი ხელის ჯოხი და სხვადასხვა წვრილმანი ნივთები.

ქალბატონი ნუნუ ძალზე საინტერესო მოსაუბრე გახლავთ, მთელ მახარაძის რაიონში მისი ერუდიციის გამო დაფასებული და პატივცემული. მეუღლის გლოვა არც კი დაეცადეს, ისე მოაწყეს მეგობრებმა მახარაძის №1 საბავშვო ბაღში მუსიკის მასწავლებლად. იმ წლებში რაიონებში მუსიკის მასწავლებლების დიდი სიმცირე იყო. მან შესანიშნავად იცის რუსული და ფრანგული ენები, ბრწყინვალე ტრადიციებზე აღზრდილი ქალი ყველა საინტერესო ღონისძიების მონაწილეა.

ჩვენი სასაუბრო თემა ისევ და ისევ მეუნარგიების ოჯახის ტრადიციებს, მათ წარსულს დასტრიალებს. მათ საოჯახო ალბომში ბევრი ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, გამოჩენილ ადამიანთა, მსახიობთა ფოტოსურათი ინახება. ოჯახის ახლო მეგობრები და ნათესავები ყოფილან ნიკო ნიკოლაძე, ეკატერინე და მიხეილ შენგელაიები (ნიკოლოზ შენგელაიას მშობლები), ნატო ვაჩნაძე, თამარ ბოლქვაძე...

პარიზიდან სამშობლოში დაბრუნებულ იონას ბევრი საინტერესო მოსაზრება და წინადადება ჩამოჰყვა. მაშინ პარიზის სალონებში ძალზე გავრცელებული ყოფილა კითხვა-პასუხის ალბომები. ერთ-ერთი ასეთი კითხვა-პასუხის ფურცელი ნუნუს ოჯახშიც ინახება, რომელიც იონასა და აკაკი წერეთელს შორის გამართულა. ალბათ ქართველი მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ამ კითხვა-პასუხის გაცნობა.

მე ვკითხე აკაკის — მან მიპასუხა. ქალის რომელი თვისება მოგწონთ? გულწრფელობა და დაუდგრმელობა. მამაკაცისა? მამაცობა და სულგრძელობა. რა არის ყველაზე დიდი უბედურება? გულუმაძღრობა. ყველაზე დიდი ბედნიერება? გარემოების ატანა. რით განსხვავდება შენი ხასიათი? წვრილმანებზე უხასიათობით. სად უფრო გინდა ცხოვრობდე? ყველგან ან არსად. რომელი ყვავილი მოგწონს? ვარდი. რომელ სასმელს უფრო ეწყობი? წყალს. რომელი სახელები მოგწონს? ელენე და არჩილი. ისტორიული პიროვნება? გიორგი ბრწყინვალე. ქალთაგან რომელი გმირი მოგწონს? ნესტან დარეჯანი. მამაკაცთაგან? ავთანდილი. „ვეფხისტყაოსნის" რომელი ადგილი გიზიდავთ? ჩვენი კრიტიკოსებისაგან დაწუნებული. რომელი ქალია ქუთაისში ყველაზე ლამაზი? რომელიც მე მიყვარს. შენ რომ აკაკი არ იყო, ვინ გინდა იყვე? მაინც აკაკი.

ასეთი კითხვა-პასუხის საღამოებმა გამოაფხიზლა ქართველი საზოგადოებრიობა. ოჯახურ სალონებში იმართებოდა აზრთა გაზიარება, ადამიანთა შორის მყარდებოდა ჯანსაღი ურთიერთობა, საქმიანი კონტაქტები.

დღეს საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობს ნუნუ ხუნდაძე-ჯიბუტი — თავს დასტრიალებს №1 საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს, პატივს სცემენ და აფასებენ, მის აზრს მუდამ ანგარიშს უწევენ.

ნანული გუკია

რეჟისორი ოთარ მაცაბერიძე თეატრ-სტუდიის პირველ კურსელებთან

ᲔᲚᲝᲚᲝᲓ ᲒᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲐ

ნი თეატრი-სტუდიაც მას ეკუთვნის. ეს დიდი მხარდაჭერა რომ არა, ჩვენი წამოწყება განუხორციელებელ ოცნებად დარჩებოდა. უკვე ექვსი წელია, ჩვენი სტუდიის მოსწავლე მსახიობები გულმოდგინედ სწავლობენ. მეცადინეობენ და ენერგიას არ იშურებენ უჩვენონ თანატოლებს მშვენიერება ხელოვნებისა, მართალი სიტყვა სცენისა. გვინდა მოსწავლეები, ჩვენი მომავალი სცენიდანვე ვაზიაროთ ცხოვრებისმცოდნეობას. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ სტუდია-თეატრი თავის ამოცანად პროფესიონალთა აღზრდას ისახავს. რა თქმა უნდა, არც იმას გამოვრიცხავთ, რომ როდისმე რომელიმე ჩვენი ნორჩი მსახიობი პროფესიონალად მოგვევლინება. და ჩვენ ვიამაყებთ, რომ მოსწავლეთა თეატრმა-სტუდიამ შეუწყო ხელი მისი მონაცემების დახვეწას. მაგრამ, ჩვენი მთავარი მიზანია-დავაახლოოთ ბავშვი თეატრთან, შევაყვაროთ თეატრი. მისი ცხოვრების გამამშვენიერებელი, მისი მეგობარი გავხადოთ იგი. ყოველწლიურად ვაცხადებთ მიღებას თეატრ-სტუდიის სხვადასხვა ფაკულტეტზე. ვაწყობთ გამოცდებს, გასაუბრებას, ვარჩევთ საუკეთესოებს: გულისტკივილით მინდა შევნიშნო, რომ ამ ბოლო ხანს ბავშვთა ინიციატივა პასიურია. იქნებ ეს იმ მშობელთა გამოისობით ხდება, რომელთაც ეგრეთწოდებულ „რეპეტიტორებთან“ ურჩევნიათ მოსწავლეთა სვლა, ვიდრე თეატრ-სტუდიაში, რეპეტიციებზე. ძვირფასო მშობლებო, ნუ წაართმევთ თქვენს შვილებს თეატრალურ ხელოვნებასთან ზიარების მშვენიერ წუთებს, თუნდაც საათებს. ჩვენი მისამართია: თბილისი. 380086 ვაჟა ფშაველას პროსპექტი, მე-7 კვარტალი, მე-16 კორპუსი. მოსწავლეთა ექსპერიმენტული თეატრი-სტუდია. დიახ, თეატრი ექსპერიმენტულია, მაგრამ ერთ ოცნებაშიც გამოგიტყდებით: იქნებ, ოდესმე ფრთა შეესხას ამ ოცნებას, შეიქმნას მოსწავლეთა თეატრი, ნამდვილი თეატრი. მაშინ ხომ ჩვენ, პირველი კვალის გამტარებლებს მადლობით გაგვიხსენებენ.

ᲝᲗᲐᲠ ᲛᲐᲪᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ,
თეატრ-სტუდიის დირექტორი, რეჟისორი.

ᲡᲝᲤᲘᲝ ᲛᲐᲠᲘ

ძველი თბილისის ერთ-ერთ ლამაზ უბანში — სოლოლაკში, ცხოვრობს თმაშევერცხლილი, სანდომიანი სახის ხანდაზმული ქალი. მის მხრებზე წელთა სვლას თავისი სიმძიმე ჩამოუღვრია. ამ ქალს ბევრი რამ უნახავს და ბევრიც აქვს მოსაგონარი. ეს ქალბატონი სოფიო მარი გახლავთ, ირანისტი, ირანული ფილოლოგიისა და ეთნოგრაფიის სპეციალისტი. საბჭოთა მეცნიერების ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლის ნიკო მარის რძალი, იური ნიკოლოზის ძე მარის მეუღლე და მეგობარი.

1934 წლის დეკემბერში საბჭოთა მეცნიერებამ უდიდესი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა აკადემიკოსი ნიკო მარი, ხოლო ერთი წლის შემდეგ, 1935 წლის დეკემბერში გარდაიცვალა მძიმე სენით შეპყრობილი, 42 წლის ახალგაზრდა მეცნიერი პროფესორი იური ნიკოლოზის ძე მარი. იგი იყო სახელოვანი მამის ღირსეული შვილი, ირანისტი, ფილოლოგი და ისტორიკოსი, ენათმეცნიერი და ფოლკლორისტი, გულისხმიერი და სათნო ადამიანი. იური ნიკოლოზის ძე ბუნებამ დიდ მეცნიერულ უნართან ერთად არაჩვეულებრივი ენერგიით, შრომისმოყვარეობითა და იშვიათი პოეტური და მუსიკალური ნიჭითაც დააჯილდოვა. მას მარტო საბჭოთა კავშირში კი არა, დასავლეთ ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნების სამეცნიერო საზოგადოებებშიც იცნობდნენ. იური მარის ცხოვრება და მოღვაწეობა განუყოფელია სოფიო მიხეილის ასულ მარის სახელთან. სოფიო იური მარის ერთგული მეუღლე და მეგობარიც იყო და, ამასთანავე,—მისი საქმეების პირველი კრიტიკოსი და მეხოტბე, ერთგული თანაშემწე, პატივისმცემელი და დამფასებელი.

სოფიო მიხეილის ასული მიხაილოვა—მარი 1890 წელს ლენინგრადიში, რკინიგზელის ოჯახში დაიბადა. 1916 წელს მან ლე-

ნიკო მარის ოჯახი

ნინგრადის ბესტუჟევის ქალთა უმაღლესი კურსები დაამთავრა და აღმზრდელ-პედაგოგად ქალთა გიმნაზიაში დაიწყო მუშაობა, სადაც დედამისი ვერა მაკეევა ასწავლიდა. მალე სოფიო მიხეილის ასულმა ლენინგრადის უნივერსიტეტის ისტორიო-ფილოლოგიის ფაკულტეტზე წარმატებით ჩააბარა გამოსაშვები გამოცდები და ქალთა გიმნაზიაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად განაგრძო მუშაობა.

1921 წელს სოფიო მიხეილის ასული ლენინგრადის ხელოვნების ისტორიის შემსწავლელ კურსებზე მსმენელად შევიდა, სადაც იმ ხანად მოღვაწეობდნენ გამოჩენილი მეცნიერები: ტინიანოვი, ჟირმუნსკი, კავერინი და სხვები. ამავე წელს მან გაიცნო იური ნიკოლოზის ძე მარი და მთელი შემდგომი ცხოვრება მას დაუკავშირა.

1925 წლის გაზაფხულზე სოფიო მარი მეუღლესთან ერთად ირანში მიემგზავრება, სადაც მათ წელიწადნახევარი დაჰყვეს. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ირანში ყოფნა იური მარისათვის. ახალგაზრდა მეცნიერი დილიდან საღამომდე სპარსელებს შორის ტრიალებდა, მათ ადათ-წესებს ეცნობოდა; იძენდა საჭირო ლიტერატურას, სწავლობდა არქიტექტურულ და ლიტერატურულ ძეგლებს, აგროვებდა ფოლკლორულ მასალებს. დიდ ინტერესს იჩენდა ეთნოგრაფიული მასალის შეგროვება-შესწავლის საქმეში. ამ მხრივ მას სოფიო მარი უდიდეს დახმარებას უწევდა. იგი მეუღლესთან ერთად ირანის ქალაქებში მოგზაურობდა, სწავლობდა. სპარსულ ენას, დადიოდა ხალხში, ქარვასლებსა და ბაზრებში, ესწრებოდა ხალხურ დღესასწაულებს და წარმოდგენებს, ლიტერატურულ საღამოებს. ესაუბრებოდა სპარსელ „ედიბებს", პოეტებს, მწერლებს, ეცნობოდა ბიბლიოთეკებსა და რედაქციებს. მან განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა დაამყარა ირანში იმ დროს ჩამოყალიბებულ ქალთა საზოგადოებასთან და მის თავმჯდომარე — ხანუმ ეფეხრთან. მაშინ ირანელი ქალები ჩადრით დადიოდნენ და მოკლებული იყვნენ ყოველგვარ საზოგადოებრივ საქმიანობას, თავისუფლებას. სოფიო მარი მათ საბჭოთა ქალებზე მოუთხრობდა.

ირანში ყოფნისას სოფიო მარმა მეუღლესთან ერთად საჭირო ლიტერატურა, ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი მასალები, ძვირფასი კოლექციები შეიძინა, რომელთა უდიდესი ნაწილი დღეს მიკლუხო მაკლაის სახელობის ლენინგრადის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში ინახება და ფასდაუდებელ სამსახურს უწევს ირანისტ მეცნიერებს.

სოფიო მარმა, ეზიარა რა ზოგად ეთნოგრაფიულ მეცნიერებას, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ხალხური ზნე-ჩვეულებების ზოგიერთ რიტუალურ მხარეს, რომელიც შემდეგ მეცნიერულად დაამუშავა და გამოაქვეყნა შრომებში: „ირანული ქორწინება" და „მოჰარამის" მისტერიები ირანულ შოტებში", სადაც ავტორი მდიდარი ეთნოგრაფიული მასალის ღრმა მეცნიერულ ანალიზსა და მეტად საინტერესო დასკვნებს იძლევა.

1926 წელს ცოლ-ქმარი ირანიდან დაბრუნდა და როგორც პროფესორი ალ. გვახარია შენიშნავს: „გადაღლამ იჩინა თავი თუ ჩრდილოეთის „პალმირის" ნესტმა იძალა, ახალი ძალით იფეთქა იურის სენმა — ტუბერკულოზმა. ისინი დაემშვიდობნენ კოლეგებს, წიგნსაცავებს, მშობლიურ გარემოს და საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდნენ, სადაც თავიანთი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მუშაობა გააგრძელეს. წყეულმა სენმა აქაც არ მოასვენა იური ნიკოლოზის ძე და ცოლ-ქმარი საცხოვრებლად აბასთუმანში დამკვიდრდნენ. მათი პატარა ოთახი უმალ წიგნებით აივსო. წერილების ნიაღვარი მოედინებოდა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებიდან, ზოგჯერ მეგობრებიც აკითხავდნენ. იური მუშაობას აქაც განაგრძობდა, სოფიო მიხეილის ასული მეუღლეს სამეცნიერო შრომების მომზადებასა და კორესპონდირებაში ეხმარებოდა.

იური მარი გარდაიცვალა ისე, რომ სიცოცხლეში მხოლოდ რამდენიმე ნაშრომის გამოქვეყნება მოასწრო. 1936-1939 წლებში პროფ. ი. ბ. მეგრელიძემ იური მარის შრომის ორი ტომი გამოსცა. სოფიო მარი საოცარი მონდომებითა და სიყვარულით შეუდგა მეუღლის საარქივო მასალების დამუშავებას და გამოსაცემად მომზადებას. არქივი უამრავ საინტერესო მასალას შეიცავდა. 1966 წელს სოფიო მარმა პროფესორ ალექსანდრე გვახარიასთან ერთად მოამზადა და გამოსცა იური მარის რამდენიმე შრომა, ხოლო 1973 წელს კი — სამეცნიერო ჟურნალ „მაცნეში" გამოქვეყნდა მისი საინტერესო ნერილი „თეირანში". წერილში დაწვრილებით არის აღწერილი იური მარის თეირანში მოგზაურობა, მეცნიერული მუშაობა და შეხვედრები.

90 წელს მიღწეული ქალბატონი სოფიო მარი დღესაც მოწიწებით აგროვებს და ამუშავებს არა მარტო მეუღლის — იური მარის საარქივო მასალებს, არამედ ნიკო მარის გამოქვეყნებულ საარქივო მასალებსაც. კვლავ დაუღალავი ენერგიით მუშაობს იგი ირანის სულიერი კულტურის მეტად რთულ და საინტერესო საკითხებზე. მას აქვს არა ერთი საყურადღებო ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული თუ ფილოლოგიური ხასიათის გამოკვლევები და დღიურები (ხელნაწერთა სახით), რომელიც დღეს მნიშვნელოვან პირველ წყაროს წარმოადგენს ირანის ეთნოგრაფიის შესასწავლად და რომელთა გამოცემა გაამდიდრებს ეთნოგრაფიულ მეცნიერებას.

სოფიო მარი დიდი გულისხმიერებით უწვდის ხელს ირანისტიკით დაინტერესებულ ახალგაზრდა მეცნიერებს, ეხმარება მათ სამეცნიერო მუშაობის წარმართვაში. მისი უანგარო სამსახურითა და სიკეთით ბევრია დავალებული. მათ შორის ამ სტრიქონების ავტორიც.

იური მარის სუროშემოხვეულ უჩვეულო საფლავის ქვაზე სპარსული წარნერაა ამოკვეთილი: „ამა ქვეყნის ნალკოტიდან ერთი აზიდული სურო ავირჩიე, სიკვდილის ხელმა ქარს გაატანა იგი". მაგრამ ეს სევდისმომგვრელი სიტყვები მომავლის იმედს შეიცავს. სურო ცოცხალია, იგი იური მარის მეცნიერული მემკვიდრეობაა, რომელიც ქარს კი არ წაუღია, არამედ ხალხის აზრსა და გონებაში დარჩა. დარჩა იგი ქალბატონ სოფიო მარის გულშიც, რომლის ძალამაც შეაძლებინა მეცნიერ ქალს კვლავ გააგრძელოს ძვირფასი მეუღლის არჩეული საყვარელი საქმე.

გ. გოცირიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტი.

ევროპიდან ვიდან და ხილამდე

ალბათ, ქართული კერძების მომხიბვლელობა და თავისებურებაა იმის მიზეზი, რომ მსოფლიოს ხუთ ქვეყანაში — ჩეხოსლოვაკიაში, საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიაში ქართული რესტორნები გაიხსნა.

ქართულმა სუფრამ ჰელსინკელი ტურისტებიც მოიყვანა აღტაცებაში. რესტორნის დირექტორმა მალე იუსელამ თხოვნით მომართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს, უფლება დაერთოთ, ფინელი მზარეულები საქართველოს სწვეოდნენ. სადაც ისინი, ეროვნული სამზარეულოს „საიდუმლოებას“ დაეუფლებოდნენ. და მართლაც, სულ მალე, ფინელმა მზარეულებმა ქართული კერძები შეისწავლეს სასტუმრო „ინტურისტის“ საწარმოო განყოფილების გამგის ვალერიან მაისურაძის ხელმძღვანელობით.

შედეგმა არ დააყოვნა. ჰელსინკში გაიხსნა ქართული რესტორანი, რომელიც გემოვნებით შეზავებული კერძების გარდა, ქართულ ხელოვნებას, მის მდიდარ ფოლკლორს, აწმყოსა და მომავალს გააცნობს ფინელ მოსახლეობას. რესტორანმა „ყაზბეგმა“ უკვე მოიხვეჭა პოპულარობა.

ვალერიან მაისურაძე თავისი საქმის დიდ მცოდნედ ითვლება. მის მიერ სასიამოვნოდ შეზავებულ კერძებს ბევრჯერ დაუმსახურებია მოწონება კონკურსებსა და დეგუსტაციებზე, რისთვისაც პირველი ადგილი მიაკუთვნეს და ოქროს მედლით დააჯილდოვეს. მრავალი დიპლომი, მადლობა, სიგელი არგუნეს. იგი ქმნის ახალ-ახალ რეცეპტებს, ფლობს კერძების დამზადების ბევრ საიდუმლოს.

ფინური „ყაზბეგის“ ინტერიერი დამშვენებულია ქართულ, ეროვნულ მოტივებზე შესრულებული ხის ავეჯით. აქ ყველაფერი ქართულია. კედლებს ალამაზებს ფარ-ხმალი, რქები, ირაკლი ოჩიაურის ჭედურობის ნიმუშები. ქართული სურები. ერთ-ერთ კედელს საქართველოს სიმბოლო — „ქართვლის-დედა“ ამშვენებს... მოპირდაპირე მხარეს დათოვლილი ყაზბეგი მოჩანს. მაგიდებზე აწყვია ორიგინალურად გადაწყვეტილი „მენიუ“ ნიკო ფიროსმანაშვილის ნახატით. დარბაზში იღვრება ქართული მელოდია. ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი გოგო-ბიჭები თავაზიანად, ღიმილით იღებენ სტუმრებს.

ხის ფირფიტაზე ჩამოწერილი მენიუ გვამცნობს, რომ ფინელი კულინარები გვთავაზობენ: საცივს, ქოთნის ამოლესილ ლობიოს, ხინკალს, ტაბაკად შემწვარ ვარიას, ხაჭაპურს, იმერულ და მეგრულ კუპატებს, ჭყინტ ყველს, ბასტურმას... ჰელსინკში მადლიერების გრძნობით იხსენებენ: საქართველოს სსრ დამსახურებულ არქიტექტორს ნ. შოშიტაიშვილსა და საქართველოს უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს უფროსს ლ. მატარაძეს.

ხაზზეა ჰელსინკი-თბილისი. ვალერიან მაისურაძე და მალე იუსელა ხშირად საუბრობენ მათთვის საჭირო საკითხებზე, ახალ-ახალ აზრებს უზიარებენ ერთმანეთს.

ნ. ჩიხრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვებს — უკეთესი ფეხსაცმელი!

ისინი არ გვაპატიებენ

რა გაახარებთ ბავშვებს? რა გვსურს მშობლებს? ის რომ, ჩვენს მშობლიურ ქალაქში, რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში შეგვეძლოს შევიძინოთ ბავშვის გამძლე და ლამაზი ფეხსაცმელი, ისეთი, რომლითაც პატარას არ გაუჭირდება ფეხის ადგმა და პირველი ნაბიჯების გადადგმა, სირბილი, თამაში.

თბილისში საკმაო რაოდენობით გვაქვს ბავშვებისათვის განკუთვნილი სპეციალიზებული მაღაზიები. მათთვის კარგი სახელები შეუჩეჩავთ: „ცეროდენა“, „მალხაზი“, „წითელქუდა“, „ჭაბუკა“... ბავშვთა სამყარო ხომ არის და არის! გვაქვს ბავშვებისათვის განკუთვნილი ფეხსაცმლის სპეციალიზებული მაღაზიაც, მაგრამ სადაც არ უნდა შეიხედოთ, ძნელად თუ იპოვით თქვენთვის მოსაწონ ფეხსაცმელს. მოდი და გაუძელი ბავშვის ნაღვლიან შემოხედვას — ის ხომ ლამაზ ფეხსაცმელს მოელოდა, თქვენ სულ სხვაგვარი, ფორმადაკარგული, ულამაზო, ტყვიასავით მძიმე ფეხსაცმელი უნდა ჩააცვათ. იმასაც გულახდილად ვიტყვით, რომ ხარისხის ხუთწლედმა ერთგვარად გაუმჯობესა მათი ხარისხი, მაგრამ თუ ჩვენი რესპუბლიკის პროდუქციას შევადარებთ მოსკოვსა და სხვა დიდ ქალაქებში გამოშვებულ ფეხსაცმელს, მათ შორის დიდ განსხვავებას შევამჩნევთ. გვებადება კითხვა: რატომ უნდა შევნატროდეთ სხვა ქალაქებს?

ამ კითხვამ მიგვიყვანა თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისანში“, (დირექტორი ვლადიმერ ნადირაშვილი). გაერთიანების საწარმოო განყოფილების უფროსის მოადგილე ციალა შენგელია ხალისით გვიწევს მეგზურობას.

შევდივართ № 2 საამქროში (საამქროს უფროსი გივი ბადრიაშვილი), სადაც უფროსი ასაკის ბავშვის ფეხსაცმელი იკერება. საამქროს ნათელ შენობაში ორ ნაკადზე 375 მუშა მუშაობს. ისმის ჩაქუჩის კაკუნი, „ფრეზერის“ ხმაური, მუშები თავთავიანთ ადგილზე სხედან და გაფაციცებით მუშაობენ. ვიდრე პროდუქცია მზა სახეს მიიღებდეს და შეკერილი ფეხსაცმელი მუყაოს ყუთებში ჩალაგდებოდეს, ორმოცდათექვსმეტი ოპერაცია უნდა შესრულდეს და ყველა ოპერაცია მნიშვნელოვანია. აქ ტემპის შენელება შეუძლებელია, ერთმა პროცესმა უნდა მოუსწროს მეორეს და ასე შემდეგ. მუშა ჩქარობს. გეგმა შესასრულებელია. ყოველდღიურად საამქრომ ორივე ცვლაში 4.400 წყვილი ფეხსაცმელი უნდა გამოუშვას. მაშასადამე, წუნის შემთხვევაში ბრალი არაკვალიფიციურ, უდისციპლინო მუშას ედება. მაგრამ ის, რაც იმ დღეს „ისანში“ ვხახეო, თითქოს არ შეესაბამება მაღაზიაში მიღებულ შთაბეჭდილებას. კონვეიერზე მოხდენილი, შეხამებული ფერებით დამშვენებული ფეხსაცმელი მიდის. თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, არის წუნიანი პროდუქციის გამოშვების შემთხვევებიც. როგორც აგვიხსნეს, ამასაც თავისი მიზეზი ჰქონია. ამ საამქროს საქმიანობა, დიდად არის დამოკიდებული საძირე, საგამომკვეთო, საგამომჭრელო საამქროების მოქნილ და მაღალხარისხოვან მუშაობაზე, აგრეთვე სხვა ქარხნებზე, საიდანაც იღებენ ქეჩას, რეზინს, ტექსონს, კარდონს, კომჟმანტოლს; ყოველივე ეს დროულად მოწოდებული და ხარისხიანი როდია.

მოდის უხარისხო საპირე მასალა, არაასორტიმენტული ფერის ტყავი, უხეში ლანჩა (უნდა აღვნიშნოთ, რომ ხშირია რეკლამაციის შემთხვევები მომწოდებელთა მიმართ.) და მუშაობა რომ არ შეფერხდეს, ისინი, მეფეხსაცმელეები იძულებული არიან გამოიყენონ ეს დაწუნებული მასალა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფეხსაცმლის ხარისხი ქვეითდება ფაბრიკიდან მომხმარებლამდე მისვლისას (სავაჭრო დაწესებულების საწყობში, დახლზე).

მზა ფეხსაცმელი უხარისხო მუყაოს კოლოფში იფუთება. ფაბრიკიდან ბაზაში მოხვედრილი პროდუქცია, დროულად არ იგზავნება სავაჭრო ქსელში, ხოლო იქ მიტანილი ერთხანს ღია ცის ქვეშ ან ნესტიან სარდაფშია მოთავსებული. წარმოიდგინეთ, რა ხეირს დააყრის ყოველივე ეს ისეც არც თუ მაღალი ხარისხის პროდუქციას!

და ისევ და ისევ ჩვენი ქვეყნის ნორჩი მოქალაქეები ზარალდებიან!

ჩვილი და უმცროსი ასაკის ბავშვთა ფეხსაცმლის გამოშვებაზე გაერთიანების მეხუთე საამქროში (უფროსი თენგიზ კავთუაშვილი) 184 მუშა მუშაობს. მათაც იგივე სატკივარი აწუხებთ, რაც მეორე საამქროს ხელმძღვანელებს და მუშებს. მაგრამ ბავშვის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით ორივე საამქრომ შეიმუშავა ასამდე ახალი ასორტიმენტი, რომელთაგან უკვე სამოცდა ოხუთმეტია რეალიზებული. ამ ახალ ასორტიმენტს მომხმარებელი კმაყოფილებით და მოწონებით შეხვდა. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ხანებში ამ საამქროებში ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, გაფართოვდა პროდუქციის წარმოება, ერთგვარ წარმატებებს აღწევს პროდუქციის ხარისხის ამაღლების მიზნით შექმნილი სპეციალური ტექნიკური კონტროლის ბრიგადა.

გაერთიანებაში დასაბუთებულად აგვიხსნეს მიზეზები, თუ რატომ იღებენ ჩვენი პატარები უხარისხო ფეხსაცმელს.

მაგრამ ჩვენს ბავშვებს როგორ ავუხსნათ ეს?

მათ ლამაზი, მსუბუქი, გამძლე ფეხსაცმელი სჭირდებათ.

ნინო ქველაძე

ჩვენი კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

ჩვენი ჟურნალის 1979 წლის ივლისის (7) ნომერში დაიბეჭდა ლ. გლოველის წერილი „რატომ არ არის ფუნთუშა გემრიელი“, სადაც ლაპარაკი იყო ქ. თბილისში ფუნთუშის ცხობის დაბალ ხარისხზე.

ამის შესახებ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს „საქპურმრეწვის“ უფროსმა ამხ. **კ. ბუჯიაშვილმა** გვაცნობა, რომ ქ. თბილისის მოსახლეობის ხარისხიანი ფუნთუშეული ნაწარმით მომარაგებისათვის, საწარმოო გაერთიანება „თბილისპურის“ წარმოებებში გაძლიერდა კონტროლი ფუნთუშეული ნაწარმის ხარისხისადმი, აგვისტოში მოეწყო სპეციალური „ხარისხის დღე“, სადაც განიხილეს ზემოთ ხსენებულ სტატიაში მოყვანილი ფაქტები. დაისახა კონკრეტული ღონისძიებები პროდუქციის ხარისხისა და მისი ტრანსპორტირების გაუმჯობესებისათვის.

„ხარისხის დღეზე“ დასახული ღონისძიებების შესრულებას მკაცრი კონტროლი დაუწესდა. პროდუქციის ხარისხის უზრუნველსაყოფად, რეცეპტურის აუცილებელი და ზუსტი დაცვისათვის გაძლიერებულია კონტროლი წარმოებებში მომუშავე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მხრივ, ხოლო რეცეპტურით გათვალისწინებული ნედლეულის დოზირებისათვის წარმოებები, სადაც ჯერ კიდევ არ არის მადოზირებელი აპარატურა, მომარაგებამდე აღჭურვილია სათანადო საზომი ჭურჭლითა და ხელსაწყოებით.

დიღმის მასივში № 4 მექანიკურ საცხობში დამონტაჟებულმა გამჭოლმა ღუმელმა უზრუნველყო პროდუქციის ცხობის ხარისხის სტაბილურობა, ხოლო №4 და № 8 მექანიკურ საცხობებში დამონტაჟებულია ცომის დამყოფ-დამგუნდაკებელი აგრეგატები.

ბავშვის წელთან დაკავშირებით გაიზარდა საბავშვო ასორტიმენტის გამოშვება. ახალია ორცხობილა „საბავშვო“, ფუნთუშა „რკალი“, ნახმი „საბავშვო“, რულეტი „სასკოლო“. ასორტიმენტის გაზრდის მიზნით ათვისებულია კიდევ ახალი სახეობის ნამცხვარი „არაჟანიანი კვერი“.

„თბილისპურისა“ და მისი წარმოებების ხელმძღვანელებს დაევალათ, რომ წარმოებაში ავარიული მდგომარეობის დროს, თუ ნახევარფაბრიკატებისა და მზა პროდუქციის ხარისხი გაუარესდა, მიიღონ სასწრაფო ზომები ტექნოლოგიური პროცესის დასაცავად და სასტიკად აიკრძალოს ამ დროს გამოსული უხარისხო პროდუქციის სავაჭრო ქსელში გაგზავნა.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად გაუმჯობესდა ფუნთუშეულის ხარისხი. ნაკლებია მომხმარებელთა და მაკონტროლებელ ორგანიზაციათა პრეტენზიები.

ექიმის კონსულტაცია

„ვერ ვიხსენებ, სკლეროზი მაქვს“!

ეს სიტყვები ალბათ ყველა ჩვენთაგანს გვითქვამს, როცა გაცხოველებული საუბრის დროს უცბად თავიდან საჭირო სიტყვა, „ამოგვვარდნია“. ამ ფრაზას თავისებური სიკეკლუცის იერიც დაჰკრავს, რადგან არც თქვენ და არც თქვენს მოსაუბრეს ნამდვილად არ სჯერა, რომ ეს სკლეროზია. და მართლაც, უმეტესად არც გვაქვს განგაშის საფუძველი, მაგრამ ხანდახან მაინც საჭიროა თვალყური ვადევნოთ ჩვენი მეხსიერების და ფსიქიკის თავისებურებებს. ხომ არ მოასწავებენ ისინი რაიმე საშიშს?

ჩვეულებრივი გულმავიწყობა შეიძლება ნორმად ჩაითვალოს. როცა ვივიწყებთ, ამით მეხსიერებას ვიცავთ გადაღლისაგან. წარმოიდგინეთ, გონებაში რომ რჩებოდეს ყველა ტელეფონის ნომერი და მისამართი, რომლებიც აღარ გვჭირდება. მოძველებული ინსტრუქცია და ცირკულარი, შემთხვევითი ნაცნობების სახელები და გვარები, ჩვენი ტვინი, უბრალოდ თავს ვერ გაართმევდა ინფორმაციის ასეთ სიუხვეს.

სწორედ ამიტომაც იგი (ტვინი), „ახარისხებს“ ამას, და თავისთვის მხოლოდ ყველაზე საჭიროს იტოვებს. მაგრამ თუ ამ მთავარსაც, აუცილებელსაც ივიწყებს ტვინი, აი მაშინ კი გვმართებს ყურების დაცქვეტა.

მეხსიერების დარღვევის მრავალი მიზეზი არსებობს — ინფექციური, ტრავმები, ფსიქიკური და ნერვული დაავადებები. მაგრამ მთავარ დამნაშავედ მაინც ათეროსკლეროზია მიჩნეული. ერთ ხანს „მოხუცებულობა“ და „სკლეროზი“ ლამის სინონიმებად იყო მიჩნეული. ფეხმოკიდებული იყო ასეთი გამოთქმაც: „ჩვენი ასაკი, ეს ჩვენი სისხლძარღვების ასაკიაო“. შემდეგ გამოირკვა, რომ საქმე ასე სულაც არ არის. რომ არიან ღრმა მოხუცები, რომელთა არტერიული სისტემა ოჯრმოცი წლისანებსაც შეშურდებათ. ჩვენს საუკუნეში ათეროსკლეროზი, მთელი რიგი სხვა დაავადებების კვალდაკვალ საშიშად გაახალგაზრდავდა. როცა ექიმმა ბერნარდმა გულის გადანერგვის ერთ-ერთი ოპერაცია გააკეთა, ეს სენსაცია მეორე სენსაციამ დაჩრდილა: დონორი 24 წლის უმაწვილი გახლდათ, რომელიც გარდაცვლილი იყო... ინსულტით — ტვინის დასკლეროზებული ძარღვის გახეთქვით.

ათეროსკლეროზის პროცესი ნელა, შეპარვით მიმდინარეობს. ნივთიერებათა ცვლის დარღვევის შედეგად სისხლში გროვდება ცხიმისებრი ნივთიერება (ქოლესტერინი) და კალციუმის მარილები. ეს ნივთიერებები სისხლის შიდა კედლებზე ილექება და ეგრეთ წოდებულ „ფოლაქებს“ წარმოქმნის. სისხლძარღვების სანათურები ვიწროვდება, კარგავს მოქნილობას. აი, სწორედ ეს გახლავთ ათეროსკლეროზი.

ტვინის სისხლძარღვების ათეროსკლეროზის გამოვლინება სხვადასხვაგვარია. ადამიანს ჯერ ფსიქიკა ეცვლება, ხდება კონსერვატული, ცდილობს გაექცეს ყოველივე ახალს, რადგან სიახლე მეტ დაძაბულ მუშაობას მოითხოვს, რაც ტვინს უკვე აღარ ძალუძს.

არტერიების სანათურების შევიწროება აფერხებს ტვინისათვის უანგბადის მიწოდებას. ავადმყოფი მალე იღლება, დიდი ტანჯვით იხსომებს ახალს. საერთოდ სკლეროზით დაავადებულთ კარგად ახსოვთ გარდასულ დღეთა ამბები (თავის დროზე კარგად დაიხსომეს და იმიტომ) და ავიწყდებათ, გუშინ რა გააკეთეს. სკლეროზის მეორე უკიდურესობაა ბევრი ლაპარაკი. წინათ თავდაჭერილი და სიტყვაძუნწი ადამიანი იწყებს ბევრ და უზომო ლაპარაკს, თან ერთსა და იმავეს იმეორებს, უქვეითდება თვითკრიტიკა, კარგავს თავმდაბლობის გრძნობას, სირცხვილს, ერღვევა ძილი. ავადმყოფი უეცრად იძინებს და ასევე უეცრად იღვიძებს. როცა დაავადება სწრაფად ვითარდება, ჩნდება სხვა ნიშნებიც: სულმდაბლობა, ცრემლი, ჭამისადმი და კუჭის მოქმედებისადმი გადაჭარბებული ყურადღება.

როგორ შევაჩეროთ დაავადება?

დავიწყებ იმით, რასაც ექიმები ნიადაგ იმეორებენ და რასაც პაციენტებიც ასევე ნიადაგ ერთი ყურიდან მეორეში არ უშვებენ (იქნებ ჩვენმა დაუინებამ მეტი შედეგი მოგვცეს). დაავადების თავიდან აცილება გაცილებით იოლია, ვიდრე მისი მკურნალობა. უპირველეს ყოვლისა უნდა დავზოგოთ ცენტრალური ნერვული სისტემა, რომელიც მართავს ნივთიერებათა ცვლას. ნერვული უჯრედები (ნეირონები), როგორც ახლა ამბობენ, მართლაც აღარ აღდგება. ტვინის სისხლის მიმოქცევის დარღვევის დროს დღეში 100 ათასი ნეირონი იღუპება. ნეირონები იღუპება ალკოჰოლისა და ნიკოტინისაგანაც, სხვადასხვა დაავადებისა და ჩვეულებრივ სურდოს დროსაც კი.

ათეროსკლეროზით დაავადებულთათვის ძალიან ეფექტიანია ღამის დასვენება, რომელსაც „ნერვული სისტემის მაშველი ცენტრი“ უწოდა რუსმა ფიზიოლოგმა პავლოვმა. იმისათვის, რომ ღრმად და მაგრად გვეძინოს, ერთსა და იმავე დროს უნდა დავწვეთ და ავდგეთ. ღამე არ უნდა ვიკითხოთ, არ ვუყუროთ ტელევიზორს და ა. შ. რადგან ათეროსკლეროზის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს ცილებისა და ქოლესტერინის ცვლა, საჭიროა ზომიერი კვება და მეტი მოძრაობა. ხალხი ამბობს, რაც უფრო წვრილია წელი, მით უფრო გრძელიაო სიცოცხლე!

ნიკოლოზ მისიუკი, პროფესორი.
„სოვეტსკაია ჟენშჩინა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციური წარსულიდან

ეკლიან გზებზე

900-იან წლებში, იმ შავბნელ, დუხჭირ დროში ავჭალის აუდიტორიის სცენაზე გამოვიდა სახალხო თეატრის პირველი სცენისმოყვარე ქალი ეკატერინე იოსელიანი და ყაზბეგის „არსენაში“ ნინოს როლი განასახიერა.

სცენაზე გამოსვლა ადვილი როდი იყო ისეთ უბნებში, სადაც სცენისმოყვარეებს ხალხი მასხარად იგდებდა, ბერიკებს და „პამპულებს“ ეძახდა.

სახალხო თეატრის მსახიობნი მიდიოდნენ ეკლიან გზაზე, ხშირად მშიერმწყურვალნი, მაგრამ მათ უყვარდათ სამშობლოს ერთადერთი ტრიბუნა, საიდანაც გაისმოდა ცარიზმის მიერ დევნილი ქართული ენა. ამ სიყვარულის გამო ყოველგვარ გასაჭირს იტანდნენ, წმინდა მიზანს უანგაროდ და პირნათლად ემსახურებოდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის პირველი რევოლუციის მზადების წლებში და რევოლუციის პერიოდში ავჭალის აუდიტორია და სხვა სახალხო თეატრები რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ერთ-ერთი დასაყრდენი იყო. აქ ეწყობოდა არალეგალური კრებები, ვრცელდებოდა პროკლამაციები და არალეგალური ლიტერატურა. ინახებოდა საბრძო-

ლო იარაღი. სცენაზე რომ ფარდა აიხდებოდა, სცენის მიღმა არალეგალური წრეები იწყებდნენ მუშაობას. აქ მომზადდა ბევრი პოლიტიკური მოღვაწე, რომლებმაც დიდი სამსახური გაუწიეს მშრომელთა განთავისუფლებას.

სახალხო თეატრებში დადგმულ პიესებზე იზრდებოდა მუშათა კლასი. ამ პიესებში მთავარ როლებს ეკატერინე იოსელიანი და მისი მეუღლე გიორგი ჯაბაური ასრულებდნენ. სცენიდან ნათქვამი მათი ყოველი სიტყვა ხალხს ჟრუანტელს ჰგვრიდა. ხალხი იმსჭვალებოდა ეკატერინე იოსელიანის მიერ სრულყოფილად განსახიერებული სახეებით. ესენი იყო: კეკე („პეპო"). ნინო („არსენა"), მათიკო („მათიკო"), რიფსიმე („ავაზაკები"), მარინე („და-ძმა").

მუშებს მოსწონდათ აგრეთვე ეკატერინე იოსელიანის მიერ საღამო-დივერტისმენტებზე წაკითხული ლექსები.

ეკატერინე იოსელიანი 1898 წლიდან საფუძვლიანად გაეცნო მუშათა მოძრაობას და ყოველმხრივ ხელს უწყობდა მის წინსვლას, პროკლამაციებისა და არალეგალური ლიტერატურის გავრცელებას. მას საკუთარ სახლში ჰქონდა ჰექტოგრაფი, ბეჭდავდა სასწრაფო მოწოდებებს და ორგანიზაციების შემოსავალ-გასავლის თვიურ ანგარიშებს.

მუშების ცოლებისაგან ეკატერინემ ქალთა წრე შეადგინა და მეფის მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდა.

მშრომელთა კეთილდღეობისათვის მებრძოლმა ინტელიგენტმა ქალმა, სამოქმედო ასპარეზი სოფელსაც დაუკავშირა. იგი გარკვეულ პერიოდებში მასწავლებლობდა გარეკახეთის სოფლებში — კაკაბეთსა და ხაშმში, ქართლში — კასპსა და ლამისყანაში. პატარა მოსწავლეებს მშობლიური გატაცებით თავს დასტრიალებდა, ღამე მოზრდილებს უფასოდ ასწავლიდა წერა-კითხვას.

გარეკახეთში მასწავლებლობის დროს მას არც საყვარელი სცენა ავიწყდებოდა და თუმცა ჩვილი ბავშვი ჰყავდა, მუდამ მონაწილეობდა წარმოდგენებში, რომლებიც თეატრის უქონლობის გამო იქაური მკვიდრის გელაშვილის კერძო სახლში იმართებოდა.

ეკატერინე განაგებდა აგრეთვე სოფლად არსებულ ბიბლიოთეკას, სადაც მოხერხებულად ინახავდა არალეგალურ ლიტერატურას და პროკლამაციებს. იგი როგორც გამოცდილი და მრავალმხრივ გათვითცნობიერებული ადამიანი, ავადმყოფ გლეხებსაც უწევდა სასწრაფო დახმარებას.

1906 წელს, გაძლიერებული რეაქციის დროს, ეკატერინე ლამისყანაში მასწავლებლობდა. სოფელში, რომელიც მაშინ შემჩნეული იყო რევოლუციური საქმიანობით, მკაცრად დამსჯელი ყაზახთა რაზმები ყოველგვარ საზღვარს გადადიოდნენ თავგასულობითა და მოძალადეობით. ისინი იჭრებოდნენ გლეხების ბეღელ-მარნებში. არაფრად აგდებდნენ ზოგიერთი გულადი გლეხის წინააღმდეგობას, ძალად ხდიდნენ თავს ქვევრებს, ჯერ თვრებოდნენ, ხოლო შემდეგ შიგ მიწას ყრიდნენ. რამდენიმე გლეხს, რომლებიც მამაცურად ეწინააღმდეგებოდნენ მათ, სახლი დაუნგრიეს, მთვრალი ყაზახები მთელ სოფელში დათარეშობდნენ. ახალგაზრდა ქალებს გაუპატიურების შიშით გარეთ ვეღარ გამოეხედათ. ერთხელ ხმა გავარდა: „ამაღამ ყაზახები სახლებში შევლენ და დააწიოკებენ მცხოვრებლებსო". ახალგაზრდობის ნაწილი მეზობელ სოფლებში ნათესავებთან გაიხიზნა, ნაწილი ეკატერინე იოსელიანმა შეიფარა.

ეკატერინე სკოლის შენობაში ცხოვრობდა, სადაც მოძალადე ჯარისკაცები შესვლას ვერ ბედავდნენ. ამ მდგომარეობას კარგად იყენებდა ხალხის მოჭირნახულე მასწავლებელი. და ღამით სკოლის შენობაში მალავდა დევნილ რევოლუციონერ გლეხებს, ამარაგებდა მათ არალეგალური ლიტერატურით, უკითხავდა პროკლამაციებს, თუ ლამისყანაში ეს ხდებოდა, იქ თბილისში, ეკატერინე იოსელიანის ბინაში, მისი მეუღლე გიორგი ჯაბაური არალეგალურ ზრუნვას უწევდა რევოლუციონერებზე.

ბევრი მათგანი მაინც დააპატიმრეს. ყოფილა შემთხვევა, როცა დაპატიმრებული და დასასჯელად გამზადებული რევოლუციონერი ეკატერინეს გაუპარია.

ლამისყანაში ყაზახების თარეში აუტანელი შეიქნა. ხალხი ვეღარ ითმენდა მათ თავგასულობას. უთანასწორო ბრძოლა და სისხლისღვრა გარდაუვალი იყო. ეკატერინემ ერთ ხერხს მიმართა: შეაგროვა სოფელში 30-მდე წარმოსადეგი ქართველი მანდილოსანი. ერთი ღამე თავის ბინაში გაათენებინა, მეორე დღეს კი თბილისში ჩაიყვანა გუბერნატორთან მისასვლელად. თვითონ კი შორიახლოს მისდევდა. თბილისელები ქუჩაში მიმავალ დედაკაცების ჯგუფს გაკვირვებული უცქერდნენ, ზოგიც დაინტერესდა, თუ რა ხდებოდა და უკან მიჰყვებოდა.

ეკატერინეს მიერ ქალები წინასწარ იყვნენ მომზადებული თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, ვისთან უნდა ელაპარაკნათ, ან რა უნდა ეთქვათ. მათში ერია ერთი კარგი მოსაუბრე ხანშიშესული დედაკაცი მარიამ ზოზორაშვილი და ეკატერინეს არჩევანიც მასზე შეჩერდა, პირველი სიტყვა მას დააკისრა. კანცელარიაში მისვლისთანავე მათ გუბერნატორთან წარდგენა ითხოვეს. გამოვიდა გუბერნატორი და იკითხა, ვინ არიან ან რას ითხოვენო, წინასწარ კარგად მომზადებულმა დედაკაცებმა, საფუძვლიანად აუხსნეს გუბერნატორს შექმნილი მდგომარეობა და უთხრეს: ჩვენს სოფელში ისე მოგვაბეზრა თავი ეგზეკუციამ, რომ შეუძლებელი გახდა ცხოვრება, ან მოგვაშორეთ, ანდა ჩვენ შვილებსა და ქმრებთან ერთად დაგვაპატიმრეთო.

რამდენიმე დღის შემდეგ ლამისყანაში ეგზეკუცია მოხსნეს. მძიმე რეაქციის პერიოდში ეს დიდი მიღწევა იყო, რომელიც ეკატერინე იოსელიანმა თავისი საზრიანობით მოიპოვა.

თამარ გომართელი

გარეკანის პირველ გვერდზე — თბილისის 45-ე ექსპერიმენტული სკოლის IV კლასის ხუთოსანი მოსწავლე, ქორეოგრაფიული ჯგუფის სოლისტი თეა ცქიტიშვილი; მეოთხეზე — „ზამთრის ფანტაზია" — დ. იაკობაშვილის და თ. ფურცხვანიძის სლაიდები.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: **ბ. ბანძელაძე, ნ. ბაფრინდაშვილი, ნ. ბურგენიძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ჟ. ლომთათიძე, პ. ულენტი, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია** (მხატ. რედაქტორი), **ლ. შეწირული, თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე** (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი **ნ. ბუკია**

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 5/XII-79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/I-80 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/3, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3. ტირაჟი 134.100. შეკვ. 3014. უე 00606. **ფასი 30 კაპ.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

6.83/19

ეროვნული ბიბლიოთეკა

08ფიფ 76178